დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - იაკობ ტრიპოლსკის სახელობის დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის №1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: გიორგი ნებიერიძე

წევრები:

თეა ტაბატაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
თამარი ოღლიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ელენე კურდღელია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ვალერიანე ვოლჩანსკი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ნანა ჭავჭანიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
მარინე მურჯიკნელი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თეოდორა ლემონჯავა - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
თეონა აბრამიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - იაკობ ტრიპოლსკის სახელობის დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის №1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	229322195

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	დუშეთი, დაბა ფასანაური
ფაქტობრივი მისამართი	დაბა ფასანაური, მერაბ კოსტავას ქუჩა N31/ შოთა რუსთაველის ქუჩა N36
საფოსტო ინდექსი	1800
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Pasanauri@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577732282

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება (19/02/2026 წ.) MES 1 26 0000188911
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 18 და 19 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	დუშეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ფასანაური, მერაბ კოსტავას ქუჩა N31/ შოთა რუსთაველის ქუჩა N36 (ერთი შენობა-ნაგებობა)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	დუშეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ფასანაური, მერაბ კოსტავას ქუჩა N31/ შოთა რუსთაველის ქუჩა N36 (ერთი შენობა-ნაგებობა)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	დუშეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ფასანაური, მერაბ კოსტავას ქუჩა N31/ შოთა რუსთაველის ქუჩა N36 (ერთი შენობა-ნაგებობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - იაკობ ტრიპოლსკის სახელობის დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის №1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი 2026 წლის 18-19 მარტს განხორციელდა. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას.

ვიზიტი თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში წარიმართა, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ დირექციის წარმომადგენლებს, საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, პედაგოგებს და ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტები დისტანციურად შეუერთდნენ შეხვედრას - ინტერვიუ შედგა საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებთან. აგრეთვე დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ პროცესში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ - იაკობ ტრიპოლსკის სახელობის დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის №1 საჯარო სკოლა წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც გამოირჩევა მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობითა და მრავალწლიანი საგანმანათლებლო ტრადიციებით. აღნიშნული გარემო ქმნის უნიკალურ კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ღირებულებითი, ესთეტიკური და მოქალაქეობრივი ცნობიერების განვითარებას.

სკოლაში ფუნქციონირებს მუზეუმი, რომელიც წარმოადგენს სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან მხარდამჭერ რესურსს. მუზეუმში დაცულია იაკობ ტრიპოლსკის სასცენო და თეატრალური კოსტიუმები, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, უშუალოდ გაეცნონ ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიასა და მნიშვნელოვან ფიგურებს. გარდა ამისა, მუზეუმში თავმოყრილია სკოლის ისტორიის ამსახველი მრავალფეროვანი ფოტომასალა და სპეციალურად შექმნილი ალბომები, რომლებიც ასახავს დაწესებულების განვითარების ეტაპებსა და მიღწევებს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 160	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*სკოლამ უზრუნველყოს მასწავლებელთა პირად საქმეში განათავსოს: ნასამართლობის; სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ; უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (05.05.2026 - მდე).*
ინდიკატორი N 3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კადრის მიღება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პოზიციაზე, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (01.09.2026- მდე).*
ინდიკატორი N 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი,*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცება და შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმება, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (08.04.2027- მდე).*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
ინდიკატორი N 3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*<u>სკოლამ უზრუნველყოს:</u>* ➢ *<u>შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის დანიშვნა სკოლის ექიმის პოზიციაზე;</u>* ➢ *<u>სპეციალური ფორმებისა და ჟურნალები რეგულარულად წარმოება; ხელოვნური ბარიერის (გამყოფი პანელი, ტიხრული შირმა) განთავსება;</u>* ➢ *<u>სამედიცინო კაბინეტის მომარაგება პირველადი საჭიროების მედიკამენტებით შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (07.08.2026 - მდე).</u>*
ინდიკატორი N 3.4.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას*	*<u>დაჩესებულებამ უზრუნველყოს სკოლის შიდა სივრცეებში: კიბის უჯრედი, ლიფტის მიმდებარე სივრცე და ფოიეები, დამატებით ვიდეო-სათვალთვალო კამერების განთავსება შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (30.12.2026 - მდე).</u>*
ინდიკატორი N 3.6.3.1.	*სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით*	*<u>სკოლამ განახორციელოს საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ოფიციალური ვებ გვერდის საშუალებით შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (30.12.2026- მდე).</u>*

ინდიკატორი N 3.6.3.2.	*სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას*	*სკოლამ ვებგვერდზე განათავსოს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სრულყოფილი/განახლებული ინფორმაცია შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (30.12.2026 - მდე).*
ინდიკატორი N 3.6.3.5.	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია*	*სკოლამ ვებგვერდზე განათავსოს: სკოლის მოქმედი, ხედვა და ღირებულებები, სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა, პროგრამები, მხარდაჭერის სერვისები, ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმები, ინფრასტრუქტურა და ფინანსები, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (30.12.2026- მდე).*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(დაწყებითი საფეხური)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 2.2.2.4	*სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი*	*სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კადრის მიღება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პოზიციაზე, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (01.09.2026. - მდე).*
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საბაზო საფეხური)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 2.2.2.4	*სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი*	*სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კადრის მიღება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პოზიციაზე, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (01.09.2026. - მდე).*
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საშუალო საფეხური)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 2.2.2.4	*სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი*	*სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კადრის მიღება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პოზიციაზე, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (01.09.2026. - მდე).*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი 1.1.1.3	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით*	*სკოლას მიეცა რჩევა: მომავალში, პროცესში უფრო ფართოდ ჩართოს პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, მათი მოსაზრებებისა და იდეების გაზიარების მიზნით გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდები.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N 3.5.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*სკოლას მიეცა რჩევა: მიზანშეწონილია, რომ სკოლამ მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, განახორციელოს წერილობითი კომუნიკაცია ადგილობრივ თვითმმართველობასთან, რათა დადგინდეს ინფრასტრუქტურული მექანიზმების საჭიროება და დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.*
ინდიკატორი N 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების*	*სკოლას მიეცა რჩევა, რომ მიზანშეწონილია აიყვანოს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.*

	მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N 4.2.2.1	*კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის*	*სკოლას მიეცა რჩევა, აქტიურად ითანამშრომლოს სხვადასხვა ორგანიზაციებთან მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(დაწყებითი საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1.	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***უცხოური ენები*** *სასურველია, კურიკულუმში გაწერილი იყოს ყველა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც მოსწავლეები სასწავლო წლის განმავლობაში შექმნიან (გასაუბრების დროს მოყვანილი იყო უამრავი მაგალითი).* ***სპორტი*** *რჩევა: სასურველია, დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში უფრო ფართოდ დაიგეგმოს ისეთი შემოქმედებითი და პრაქტიკული აქტივობები, როგორიცაა სპორტული ფესტივალების ორგანიზება. რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, პრაქტიკაში გამოიყენონ მიღებული ცოდნა და უნარები, გამოავლინონ საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობები, იმუშაონ გუნდურად და განივითარონ სოციალური უნარები. სპორტული ფესტივალები ასევე ზრდის მოტივაციას,*

		აყალიბებს პოზიტიურ დამოკიდებულებას ფიზიკური აქტივობის მიმართ და ქმნის მხარდამჭერ, ინკლუზიურ სასწავლო გარემოს. *ასევე კურიკულუმის შემდგომი დახვეწისთვის სასურველია სამივე საფეხურზე იყოს სტრუქტურულად გამართული, თანმიმდევრული კურიკულუმები, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის პროგრესის სისტემურ მხარდაჭერას.* ***ტექნოლოგიები*** *რჩევა: სასურველია, ქვესაკითხები /სამიზნე ცნებები უფრო დეტალურად ჩაიშალოს შესაბამისი შემოქმედებითი დავალებებით* ***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*** *რჩევა: სასურველია, კურიკულუმის შედგენისას კათედრის წევრებმა ითანამშრომლონ ერთმანეთთან და იხელმძღვანელონ ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული თემების ჩამონათვალით და ამ თემებს მიუსადაგონ შესაბამისი საკითხების ჯგუფი, რაც უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტულ სწავლებას და საკითხთა შორის კავშირის დამყარებას.*
ინდიკატორი N 2.1.2.2.	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***უცხოური ენები*** *კურიკულუმების შედგენის დროს უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებმა პირველ რიგში იხელმძღვანელონ ესგ-ის ბოლო ვერსიით და ზუსტად გადაიტანონ ესგ-დან კურიკულუმში თემების და ცნებების დასახელება.* ***სპორტი*** *სასურველია, კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებული იყოს სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა. ან სკოლის მიერ მოხდეს*

		ტანვარჯიშის სპორტული ინფრასტრუქტურის შეძენა სრულყოფილი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის.
ინდიკატორი N 2.1.2.3.	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *სკოლას მიეცა რჩევა, ზოგიერთ საგანში კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს რესურსები.* ***უცხოური ენები*** *მასწავლებლებმა მუდმივად ამოწმონ კურიკულუმებში მოცემული ე.წ. „ლინკები“ რადგან ზოგი ლინკი არ იხსნება ან ლინკზე გახსნილი რესურსის თემა არ შეესაბამება კურიკულუმში დაწერილ თემას. სასურველია, მასწავლებელმა მისთვის საჭირო ელ.რესურსი ჩამოტვირთოს და შეინახოს საკუთარ იუთუბარხზე.*
ინდიკატორი N 2.1.2.4.	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***სახელმწიფო ენა*** *სასურველია, შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, კომპლექსური ბუნების დავალებების პირობების შექმნისას, მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები. ასევე რემედიაციის მიდგომების განხორციელება სასწავლო საგაკვეთილო სივრცეში.* ***უცხოური ენები*** *საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული დავალებები მატერიალური სახით შეინახონ და ამითი კათედრაზე შეიქმნება ე.წ. დავალებების ბანკი.* ***ტექნოლოგიები*** *კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი პრაქტიკულად უზრუნველყოფს ინკლუზიურ სასწავლო გარემოს და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, თუმცა საჭიროა ამ მიმართულებების უფრო მკაფიო და სტრუქტურულად დოკუმენტში ასახვა - მათ შორის დავალებების, შეფასებისა და მეთოდური მითითებების დონეზე.*

ინდიკატორი N 2.1.2.5.	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***სახელმწიფო ენა*** *რჩევა: სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან/ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი (კომპლექსური /კომპლექსური ბუნების დავალებები ან/და სასწავლო პროექტები), აგრეთვე ყველა თემის ფარგლებში სრულად მომზადდეს ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.* ***მათემატიკა*** *რჩევა: სასურველია, მასწავლებლებმა შეიმუშაონ დაწყებითი საფეხურისთვის ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებებისთვს.* ***ტექნოლოგიები*** *რჩევა: შეიქმნას კონკრეტულ თემაზე /საკითხზე სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები*
ინდიკატორი N 2.2.1.1.	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *სკოლას მიეცა რჩევა, ზოგიერთი საგნისა და კლასების კურიკულუმებში უფრო დეტალურად გაიწეროს დავალებების იდეები. თუმცა, გასაუბრებისას მოხდა ამ დავალებების კონკრეტიზაცია.* ***ესთეტიკური აღზრდა*** *რჩევა: სასურველია, დაგეგმილ პროცესში,თემის/საკითხის ფარგლებში იგეგმებოდეს მრავალფეროვანი აქტივობები. მნიშვნელოვანია კათედრის*

		გააქტიურება არაფორმალური განათლების მიმართულებით. დაიგეგმოს სასწავლო პროექტები, თუ სხვადასხვა ღონისძიებები. ***მათემატიკა*** *რჩევა: სასურველია, მასწავლებლებმა განახორციელონ რევიზია და ცვლილებები შეიტანონ კურიკულუმში.* ***სპორტი*** *რჩევა: სასურველია, კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებული იყოს სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა. ან სკოლის მიერ მოხდეს ტანვარჯიშის სპორტული ინფრასტრუქტურის შეძენა სრულყოფილი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის.* ***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*** *რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა, სასწავლო წლის დასასრულს განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით.*
ინდიკატორი N 2.2.1.3.	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***სახელმწიფო ენა*** *რჩევა: სასურველია, შეფასების ფორმები გაიწეროს კონკრეტულ დავალებებზე.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *რჩევა, კიდევ უფრო გაღრმავდეს შეფასების სისტემებზე მუშაობა. ინტენსიურად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, ხელი შეუწყონ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და პროგრესის ანალიზს.* ***მათემატიკა*** *რჩევა: სასურველია, მასწავლებლებმა ითანამშრომლონ ერთმანეთთან, შექმნან შეფასების რუბრიკები, სადაც გაითვალისწინებენ შედეგების*

		მიღწევის ინდიკატორებს და კონკრეტული საკითხის ფარგლებში მოახდენენ საკითხის დაკონკრეტებას. ***ტექნოლოგიები*** *რჩევა: დაემატოს განმავითარებელი შეფასება (შუალედური უკუკავშირი, პროცესზე დაკვირვება); გამოყენებულ იქნას თანატოლთა შეფასება; შეფასების რუბრიკები იყოს მორგებული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. შეფასება ასახავდეს პროგრესს* ***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*** *რჩევა: სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება.*
ინდიკატორი N 2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *რჩევა, საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში გამრავალფეროვნდეს სასწავლო რესურსები, რომლებიც სახელმძღვანელოების გარდა მოიცავს დამატებით ლიტერატურას, ციფრულ რესურსებს და ა.შ* ***სახელმწიფო ენა*** *რჩევა: დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ. ასევე სასურველია, რესურსების მრავალფეროვნება მორგებული თითოეულ საკითხსა და თემაზე.* ***სპორტი*** *რჩევა: სასურველია, კურიკულუმების შედგენისას ძირითად რესურსად გამოყენებული იქნას მეტი გრიფირებული სახელმძღვანელოები.*
ინდიკატორი N 2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	***უცხოური ენები***

		რჩევა: სასურველია, სკოლის ადმინისტრაციის სათანადო პირმა გამოიკვლიოს კათედრის მიერ სასწავლო წლის დასაწყისში შეადგილი დამატებითი დამხმარე რესურსების ვალიდობა/ან თავად კათედრამ დაადგინოს ამ რესურსების ვალიდობა. ***ესთეტიკური აღზრდა*** *რჩევა: სასურევლია, რესურსის შერჩევა ხდებოდეს დოკუმენტურად და მკაფიოდ ჩანდეს სკოლის მიერ შემუშავებული წესები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო რესურსის ვალიდურობას.* ***სპორტი*** *რჩევა: სასურველია, კათედრის წევრთა ჩართულობის გაზრდა რეგულარული შეხვედრებით, დავალებების კონკრეტული გადანაწილებით და ვალიდაციის პროცესის მონიტორინგით. ეს ხელს შეუწყობს დამხმარე სასწავლო რესურსების სრულფასოვან შეფასებას, ოპტიმალურ გამოყენებას სასწავლო პროცესში და მოსწავლეთა კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების უკეთ მიღწევას.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საბაზო საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1.	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***უცხოური ენები*** *სასურველია, კურიკულუმში გაწერილი იყოს ყველა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც მოსწავლეები სასწავლო წლის განმავლობაში შექმნიან (გასაუბრების დროს მოყვანილი იყო უამრავი მაგალითი).* ***სპორტი***

		რჩევა: სასურველია, საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში უფრო ფართოდ დაიგეგმოს ისეთი შემოქმედებითი და პრაქტიკული აქტივობები, როგორიცაა სპორტული ფესტივალების ორგანიზება. რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, პრაქტიკაში გამოიყენონ მიღებული ცოდნა და უნარები, გამოავლინონ საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობები, იმუშაონ გუნდურად და განივითარონ სოციალური უნარები. სპორტული ფესტივალები ასევე ზრდის მოტივაციას, აყალიბებს პოზიტიურ დამოკიდებულებას ფიზიკური აქტივობის მიმართ და ქმნის მხარდამჭერ, ინკლუზიურ სასწავლო გარემოს. *ასევე კურიკულუმის შემდგომი დახვეწისთვის სასურველია სამივე საფეხურზე იყოს სტრუქტურულად გამართული, თანმიმდევრული კურიკულუმები, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის პროგრესის სისტემურ მხარდაჭერას.*
ინდიკატორი N 2.1.2.2.	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***უცხოური ენები*** *კურიკულუმების შედგენის დროს უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებმა პირველ რიგში იხელმძღვანელონ ესგ-ის ბოლო ვერსიით და ზუსტად გადაიტანონ ესგ-დან კურიკულუმში თემების და ცნებების დასახელება.* ***სპორტი*** *სასურველია, კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებული იყოს სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა. ან სკოლის მიერ მოხდეს ტანვარჯიშის სპორტული ინფრასტრუქტურის შეძენა სრულყოფილი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის.*
ინდიკატორი N 2.1.2.3.	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *სკოლას მიეცა რჩევა ზოგიერთ საგანში კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს რესურსები.* ***უცხოური ენები***

	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	*მასწავლებლებმა მუდმივად ამოწმონ კურიკულუმებში მოცემული ე.წ. „ლინკები“ რადგან ზოგი ლინკი არ იხსნება ან ლინკზე გახსნილი რესურსის თემა არ შეესაბამება კურიკულუმში დაწერილ თემას. სასურველია, მასწავლებელმა მისთვის საჭირო ელ.რესურსი ჩამოტვირთოს და შეინახოს საკუთარ იუთუბარხზე.*
ინდიკატორი N 2.1.2.4.	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***სახელმწიფო ენა*** *სასურველია, შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, კომპლექსური ბუნების დავალებების პირობების შექმნისას, მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები. ასევე რემედიაციის მიდგომების განხორციელება სასწავლო საგაკვეთილო სივრცეში.* ***უცხოური ენები*** *საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული დავალებები მატერიალური სახით შეინახონ და ამითი კათედრაზე შეიქმნება ე.წ. დავალებების ბანკი.*
ინდიკატორი N 2.1.2.5.	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***სახელმწიფო ენა*** *რჩევა: სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან/ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი (კომპლექსური /კომპლექსური ბუნების დავალებები ან/და სასწავლო პროექტები), აგრეთვე ყველა თემის ფარგლებში სრულად მომზადდეს ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.* ***მათემატიკა*** *რჩევა: სასურველია, მასწავლებლებმა შეიმუშაონ საბაზო საფეხურისთვის ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებებისთვის.*

ინდიკატორი N 2.2.1.1.	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *სკოლას მიეცა რჩევა, ზოგიერთი საგნისა და კლასების კურიკულუმებში უფრო დეტალურად გაიწეროს დავალებების იდეები. თუმცა, გასაუბრებისას მოხდა ამ დავალებების კონკრეტიზაცია.* ***ესთეტიკური აღზრდა*** *რჩევა: სასურველია, დაგეგმილ პროცესში,თემის/საკითხის ფარგლებში იგეგმებოდეს მრავალფეროვანი აქტივობები. მნიშვნელოვანია კათედრის გააქტიურება არაფორმალური განათლების მიმართულებით. დაიგეგმოს სასწავლო პროექტები, თუ სხვადასხვა ღონისძიებები.* ***მათემატიკა*** *რჩევა: სასურველია, მასწავლებლებმა განახორციელონ რევიზია და ცვლილებები შეიტანონ კურიკულუმში.* ***სპორტი*** *რჩევა: სასურველია, კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებული იყოს სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა. ან სკოლის მიერ მოხდეს ტანვარჯიშის სპორტული ინფრასტრუქტურის შეძენა სრულყოფილი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის.*
ინდიკატორი N 2.2.1.3.	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***სახელმწიფო ენა*** *რჩევა: სასურველია, შეფასების ფორმები გაიწეროს კონკრეტულ დავალებებზე.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *რჩევა, კიდევ უფრო გაღრმავდეს შეფასების სისტემებზე მუშაობა. ინტენსიურად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, ხელი შეუწყონ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და პროგრესის ანალიზს.*

		მათემატიკა *რჩევა: სასურველია, მასწავლებლებმა ითანამშრომლონ ერთმანეთთან, შექმნან შეფასების რუბრიკები, სადაც გაითვალისწინებენ შედეგების მიღწევის ინდიკატორებ და კონკრეტული საკითხის ფარგლებში მოახდინონ საკითხის დაკონკრეტებას.*
ინდიკატორი N 2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *რჩევა, საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში გამრავალფეროვნდეს სასწვლო რესურსები, რომლებიც სახელმძღვანელოების გარდა მოიცავს დამატებით ლიტერატურას, ციფრულ რესურსებს და ა.შ* ***სახელმწიფო ენა*** *რჩევა: საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ. ასევე სასურველია რესურსების მრავალფეროვნება მორგებული თითოეულ საკითხსა და თემაზე* ***სპორტი*** *რჩევა: სასურველია, კურიკულუმების შედგენისას ძირითად რესურსად გამოყენებული იქნას მეტი გრიფირებული სახელმძღვანელოები.*
ინდიკატორი N 2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	***უცხოური ენები*** *რჩევა: სასურველია, სკოლის ადმინისტრაციის სათანადო პირმა გამოიკვლიოს კათედრის მიერ სასწავლო წლის დასაწყისში შეადგილი დამატებითი დამხმარე რესურსების ვალიდობა / ან თავად კათედრამ დაადგინოს ამ რესურსების ვალიდობა.* ***ესთეტიკური აღზრდა***

		რჩევა: სასურველია, რესურსის შერჩევა ხდებოდეს დოკუმენტურად და მკაფიოდ ჩანდეს სკოლის მიერ შემუშავებული წესები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო რესურსის ვალიდურობას. ***სპორტი*** *რჩევა: სასურველია, კათედრის წევრთა ჩართულობის გაზრდა რეგულარული შეხვედრებით, დავალებების კონკრეტული გადანაწილებით და ვალიდაციის პროცესის მონიტორინგით. ეს ხელს შეუწყობს დამხმარე სასწავლო რესურსების სრულფასოვან შეფასებას, ოპტიმალურ გამოყენებას სასწავლო პროცესში და მოსწავლეთა კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების უკეთ მიღწევას.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(საშუალო საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1.	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***უცხოური ენები*** *სასურველია, კურიკულუმში გაწერილი იყოს ყველა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც მოსწავლეები სასწავლო წლის განმავლობაში შექმნიან (გასაუბრების დროს მოყვანილი იყო უამრავი მაგალითი).* ***სპორტი*** *რჩევა: სასურველია, საგაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში უფრო ფართოდ დაიგეგმოს ისეთი შემოქმედებითი და პრაქტიკული აქტივობები, როგორიცაა სპორტული ფესტივალების ორგანიზება. რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, პრაქტიკაში გამოიყენონ მიღებული ცოდნა და უნარები, გამოავლინონ საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობები, იმუშაონ გუნდურად და განივითარონ სოციალური უნარები. სპორტული ფესტივალები ასევე ზრდის მოტივაციას,*

		აყალიბებს პოზიტიურ დამოკიდებულებას ფიზიკური აქტივობის მიმართ და ქმნის მხარდამჭერ, ინკლუზიურ სასწავლო გარემოს. *ასევე კურიკულუმის შემდგომი დახვეწისთვის სასურველია სამივე საფეხურზე იყოს სტრუქტურულად გამართული, თანმიმდევრული კურიკულუმები, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის პროგრესის სისტემურ მხარდაჭერას.*
ინდიკატორი N 2.1.2.2.	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***უცხოური ენები*** *კურიკულუმების შედგენის დროს უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებმა პირველ რიგში იხელმძღვანელონ ესგ-ის ბოლო ვერსიით და ზუსტად გადაიტანონ ესგ-დან კურიკულუმში თემების და ცნებების დასახელება.* ***სპორტი*** *სასურველია, კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებული იყოს სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა. ან სკოლის მიერ მოხდეს ტანვარჯიშის სპორტული ინფრასტრუქტურის შეძენა სრულყოფილი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის.*
ინდიკატორი N 2.1.2.3.	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *სკოლას მიეცა რჩევა ზოგიერთ საგანში კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს რესურსები.* ***უცხოური ენები*** *მასწავლებლებმა მუდმივად ამოწმონ კურიკულუმებში მოცემული ე.წ. „ლინკები“ რადგან ზოგი ლინკი არ იხსნება ან ლინკზე გახსნილი რესურსის თემა არ შეესაბამება კურიკულუმში დაწერილ თემას. სასურველია მასწავლებელმა მისთვის საჭირო ელ.რესურსი ჩამოტვირთოს და შეინახოს საკუთარ იუთუბარხზე.*

ინდიკატორი N 2.1.2.4.	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***სახელმწიფო ენა*** *სასურველია, შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, კომპლექსური ბუნების დავალებების პირობების შექმნისას, მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები. ასევე რემედიაციის მიდგომების განხორციელება სასწავლო საგაკვეთილო სივრცეში.* ***უცხოური ენები*** *საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული დავალებები მატერიალური სახით შეინახონ და ამითი კათედრაზე შეიქმნება ე.წ. დავალებების ბანკი.*
ინდიკატორი N 2.1.2.5.	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***სახელმწიფო ენა*** *რჩევა: სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან/ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი (კომპლექსური /კომპლექსური ბუნების დავალებები ან/და სასწავლო პროექტები), აგრეთვე ყველა თემის ფარგლებში სრულად მომზადდეს ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.* ***მათემატიკა*** *რჩევა: სასურველია, მასწავლებლებმა შეიმუშაონ საშუალო საფეხურისთვის ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებებისთვს.*
ინდიკატორი N 2.2.1.1.	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *სკოლას მიეცა რჩევა, ზოგიერთი საგნისა და კლასების კურიკულუმებში უფრო დეტალურად გაიწეროს დავალებების იდეები. თუმცა, გასაუბრებისას მოხდა ამ დავალებების კონკრეტიზაცია.*

		ესთეტიკური აღზრდა *რჩევა: სასურველია, დაგეგმილ პროცესში,თემის/საკითხის ფარგლებში იგეგმებოდეს მრავალფეროვანი აქტივობები. მნიშვნელოვანია კათედრის გააქტიურება არაფორმალური განათლების მიმართულებით. დაიგეგმოს სასწავლო პროექტები, თუ სხვადასხვა ღონისძიებები.* ***მათემატიკა*** *რჩევა: სასურველია, მასწავლებლებმა განახორციელონ რევიზია და ცვლილებები შეიტანონ კურიკულუმში.* ***სპორტი*** *რჩევა: სასურველია, კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებული იყოს სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა. ან სკოლის მიერ მოხდეს ტანვარჯიშის სპორტული ინფრასტრუქტურის შეძენა სრულყოფილი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის.*
ინდიკატორი N 2.2.1.3.	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***სახელმწიფო ენა*** *რჩევა: სასურველია, შეფასების ფორმები გაიწეროს კონკრეტულ დავალებებზე.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *რჩევა, კიდევ უფრო გაღრმავდეს შეფასების სისტემებზე მუშაობა. ინტენსიურად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, ხელი შეუწყონ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და პროგრესის ანალიზს.* ***მათემატიკა*** *რჩევა: სასურველია, მასწავლებლებმა ითანამშრომლონ ერთმანეთთან, შექმნან შეფასების რუბრიკები, სადაც გაითვალისწინებენ შედეგების*

		მიღწევის ინდიკატორებს და კონკრეტული საკითხის ფარგლებში მოახდენენ საკითხის დაკონკრეტებას.
ინდიკატორი N 2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *რჩევა, საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში გამრავალფეროვნდეს სასწვლო რესურსები, რომლებიც სახელმძღვანელოების გარდა მოიცავს დამატებით ლიტერატურას, ციფრულ რესურსებს და ა.შ* ***სახელმწიფო ენა*** *რჩევა: საშუალო საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ. ასევე სასურველია, რესურსების მრავალფეროვნება მორგებული თითოეულ საკითხსა და თემაზე* ***სპორტი*** *რჩევა: სასურველია, კურიკულუმების შედგენისას ძირითად რესურსად გამოყენებული იქნას მეტი გრიფირებული სახელმძღვანელოები.*
ინდიკატორი N 2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	***უცხოური ენები*** *რჩევა: სასურველია, სკოლის ადმინისტრაციის სათანადო პირმა გამოიკვლიოს კათედრის მიერ სასწავლო წლის დასაწყისში შეადგილი დამატებითი დამხმარე რესურსების ვალიდობა / ან თავად კათედრამ დაადგინოს ამ რესურსების ვალიდობა.* ***ესთეტიკური აღზრდა*** *რჩევა: სასურევლია, რესურსის შერჩევა ხდებოდეს დოკუმენტურად და მკაფიოდ ჩანდეს სკოლის მიერ შემუშავებული წესები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო რესურსის ვალიდურობას.* ***სპორტი***

		რჩევა: სასურველია, კათედრის წევრთა ჩართულობის გაზრდა რეგულარული შეხვედრებით, დავალებების კონკრეტული გადანაწილებით და ვალიდაციის პროცესის მონიტორინგით. ეს ხელს შეუწყობს დამხმარე სასწავლო რესურსების სრულფასოვან შეფასებას, ოპტიმალურ გამოყენებას სასწავლო პროცესში და მოსწავლეთა კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების უკეთ მიღწევას.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და საჭირო რესურსები.

აღსანიშნავია, რომ ინდიკატორები I და IV სტანდარტში, არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც _ „სრულად შეესაბამება“. მესამე სტანდარტთან მიმართებაში ინდიკატორები: 3.1.2.3; 3.1.2.4; 3.4.1.1; 3.4.1.3; 3.4.1.4; 3.6.3.1; 3.6.3.2; 3.6.3.5; შეფასდა _ „მეტწილად შეესაბამება.

მეორე სტანდარტთან მიმართებაში - დაწყებით საფეხურზე - ინდიკატორი 2.2.2.4.; საბაზო საფეხურზე - ინდიკატორი 2.2.2.4.; საშუალო საფეხურზე - ინდიკატორი: 2.2.2.4. ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“.

ინდიკატორი 3.1.1.1. - შესაბამისობის გეგმის და სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, უკვე შესრულებული იყო - და ექსპერტების მხრიდან შეფასდა, როგორც „სრულად შეესაბამება“.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - იაკობ ტრიპოლსკის სახელობის დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის №1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განსაზღვრულ პრინციპებს. სკოლა მიზნად ისახავს ჯანსაღ, უსაფრთხო და პოზიტიურ სასკოლო გარემოში, ხარისხიანი განათლებითა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების მხარდაჭერით აღზარდოს კონკურენტუნარიანი, გლობალური, ეროვნული და ადგილობრივი ღირებულებების დამცველი მოქალაქეები.

სკოლის მიერ შემუშავებული ხედვა ასევე შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რომელიც ხაზს უსვამს მოსწავლის აღჭურვას გლობალურ-ფუნქციური უნარებით და სასწავლო პროცესში ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდების, სტრატეგიებისა და მიდგომების დამკვიდრებას. აღნიშნული საკითხი ემსახურება ეროვნული მიზნის სწავლის ხელმისაწვდომობის, თანასწორობისა და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის რეალიზებას.

აქედან გამომდინარე, სკოლის ხედვა ეფუძნება უსაფრთხოების, მოქალაქეობრივი განათლების, ინკლუზიური სწავლების, აკადემიური ზრდისა და მოსწავლის ინტერესებზე მორგებული გარემოს უზრუნველყოფის პრინციპებს, რაც მთლიანობაში ადასტურებს, რომ სკოლის მისია და ხედვა სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **1.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისია და ხედვა ნათლად ასახავს ძირითად პრინციპებსა და მიზნებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ, ინტელექტუალურ და სოციო-ემოციურ განვითარებაზე. მასში მკაფიოდაა ხაზგასმული, რომ სკოლამ უნდა აღზარდოს კონკურენტუნარიანი, გლობალური, ეროვნული და ადგილობრივი ღირებულებების დამცველი მოქალაქეები. ყველაფერი ეს წარმოადგენს იმ ღირებულებით ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს სკოლის როლს საზოგადოების წინაშე.

სკოლის ხედვა აყალიბებს იმ გარემოს არსს, რომლის შექმნასაც სასწავლო დაწესებულება ისახავს მიზნად, ეფექტურ და უსაფრთხო საგანმანათლებლო სივრცეს.

სკოლა მიიჩნევს განათლებას, როგორც მოსწავლეების, ოჯახებისა და პედაგოგიური საზოგადოების თანაზიარ პასუხისმგებლობას. აღნიშნული მიდგომა ქმნის მხარდაჭერის, თანამშრომლობისა და ურთიერთ ზრუნვაზე დაფუძნებულ კულტურას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებთან ერთად მათი პიროვნული ღირებულებების, მოქალაქეობრივი ცნობიერებისა და კეთილდღეობის განვითარებას. **1.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის, ასევე მოსწავლეებთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ოფიციალურად არის ჩამოყალიბებული და საჯაროდ ხელმისაწვდომია სკოლის ფოიეში განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე. აღნიშნული დოკუმენტები ასახავს სკოლის ზოგად მიზნებსა და განვითარების მიმართულებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ნაწილი სასკოლო საზოგადოების წევრებისა (მოსწავლეები და მშობლები) სრულად ვერ ფლობენ აღნიშნული დოკუმენტების შინაარსს, აღსანიშნავია, რომ სკოლამ უკვე გადადგა ნაბიჯები მათ ხელმისაწვდომობასთან და ცნობადობის გაზრდის მიმართულებით. პროცესის შემდგომ გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია სკოლამ გააძლიეროს ინფორმაციის გავრცელების და ჩართულობის მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების წევრთა უკეთ ჩართულობას სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმირებისა და განხორციელების პროცესში.

<u>**სკოლას მიეცა რჩევა: მომავალში, პროცესში უფრო ფართოდ ჩართოს პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, მათი მოსაზრებებისა და იდეების გაზიარების მიზნით გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდები.**</u> **1.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის ადმინისტრაციასთან და სასკოლო საზოადოებასთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ დირექციამ შეიმუშავა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. ადმინისტრაციამ წარმოადგინა დოკუმენტები, რომლებიც მიზნად ისახავდა სკოლის ფუნქციური მიმართულებებისა და მიზნების განხორციელებას.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტების შემუშავების პროცესის ძირითადი ეტაპები განხორციელდა სკოლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით, რის შედეგადაც სასკოლო საზოგადოების პროცესში ჩართულობა ნაწილობრივ იყო უზრუნველყოფილი. მიუხედავად ამისა, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადასტურდა, რომ ადმინისტრაციამ აღნიშნული დოკუმენტი სასკოლო საზოგადოებას პრეზენტაციის ფორმატში გააცნო სასწავლო წლის დასაწყისში.

აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ სკოლამ უზრუნველყო დოკუმენტის ძირითადი შინაარსის გაცნობა და მისი პრინციპების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირება, თუმცა დოკუმენტის შემუშავების პროცესში ფართო ჩართულობის ხარისხი გასაძლიერებელია. არსებული პრაქტიკა ქმნის საფუძველს, რომ მომავალში სკოლის ადმინისტრაციამ უფრო მეტად უზრუნველყოს მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების მონაწილეობა დოკუმენტების შედგენის ყველა მნიშვნელოვან ეტაპზე, რაც ხელს შეუწყობს სკოლის პოლიტიკის მიკუთნებულობის განცდის გაძლიერებას და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობის ზრდას. **1.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი პრაქტიკის მიხედვით, მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილებზე, სკოლის ფოიში, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჭვირვალობას და ქმნის შესაძლებლობას, რომ მოსწავლეებმა, მშობლებმა, პედაგოგებმა და სხვა ვიზიტორებმა ნებისმიერ დროს შეძლონ, გაეცნონ სკოლის მიერ დადგენილ ძირითად პრინციპებს, მიზნებსა და ღირებულებებს.

აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სკოლის ღირებულებებისა და მიზნების ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში ინტეგრირებას, რადგან უზრუნველყოფილია მათზე მუდმივი ხელმისაწვდომობა. **1.1.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული სახელწოდებით, დაწესებულება რეგისტრირებულია როგორც „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იაკობ ტრიპოლსკის სახელობის დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის №1 საჯარო სკოლა.“ აღნიშნული ფორმულირება შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ ტერმინოლოგიას და ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებას, რომელიც განსაზღვრავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლებრივ სტატუსსა და საჯარო სკოლის წესდების სტანდარტულ ფორმას. **1.1.1.6 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- საჯარო რეესტრის ამონაწერი
- სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2026 წლის 9 იანვრის N2-01 ბრძანებით), რომელიც მოიცავს სტრატეგიული განვითარების ციკლის ყველა ძირითად ეტაპს და მკაფიოდ განსაზღვრავს როგორც პასუხისმგებელ პირებსა და სტრუქტურულ ერთეულებს, ისე პროცესში ჩართულ მხარეებს. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათი კორექტირების და ფართო საზოგადოებისთვის გაზიარების პროცედურები. გარდა ამისა, მეთოდოლოგია ასახავს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პრინციპებსა და პროცესს, რაც უზრუნველყოფს დაგეგმვისა და შესრულების ციკლურ, სისტემურ და გამჭვირვალე მართვას.

მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი დაფუძნებულია გუნდური მუშაობის, თანამშრომლობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებზე, რაც ემსახურება ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობას. განსაზღვრულია ასევე კონკრეტული პასუხისმგებლობები სტრატეგიულ

დაგეგმვაში ჩართულ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის, რაც ზრდის პროცესის ორგანიზებულობასა და ხელმისაწვდომობას. **1.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა, დირექტორის მიერ დამტკიცებული, სსიპ იაკობ ტრიპოლსკის სახელობის დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის №1 საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2025-2032), რომელიც მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და სტრატეგიულ მიმართულებებს. სტრატეგია განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორების და შიდა გარემოს SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხე) ანალიზს.

დოკუმენტში აგრეთვე აღნიშნულია, რომ 7 წლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა გადახედვა ხდება საჭიროებისამებრ. გეგმაში სკოლას განსაზღვრული აქვს 7 სტრატეგიული მიმართულება ესენია: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსის განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; ორგანიზაციული განვითარება.

სკოლამ წარმოადგინა სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით დირექტორის ბრძანება და სამუშაო ჯგუფის ოქმები, რომლიც შეიქმნა სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით. აქედან გამომდინარე სკოლას აქვს სკოლის ფილოსოფიაზე დაყრდნობით შემუშავებული და დამტკიცებული შვდიწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. შესაბამისად **1.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას დამტკიცებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026). ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ასახავს სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი მიზნების მიღწევისათვის საჭირო კონკრეტულ ნაბიჯებს და იმისათვის, რომ სკოლამ მიაღწიოს დასახულ სტრატეგიულ მიზნებს, პასუხობს კითხვაზე, თუ რა, როგორ და რა ვადაში უნდა გაკეთდეს აღნიშნული. შესაბამისად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, შემუშავებულია შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით. შესაბამისად **1.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილი და დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმით დგინდება სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. შესაბამისად **1.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025-2032);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026);
- სამუშაო მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება (N 2-21; 09/01/2026)
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა მისიისა და ხედვის გადახედვის სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი გეგმების შემუშავების, მათი განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება და შესაბამისი მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. მეთოდოლოგია ასევე განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და

გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მეთოდოლოგია აგრეთვე ემყარება შემდეგ პრინციპებს: 1. თანამონაწილეობა; 2. სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება; 3. გამჭვირვალობა; 4. ანგარიშვალდებულება, რომელიც მოიცავს გეგმის შესრულების ანგარიშს. გარდა ამისა, მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას, კერძოდ სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. **1.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა აღნიშნული მიმართულებით განვითარების პროცესშია და ეტაპოვრივად ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროცესში ჩართული არიან გეგმების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც სასწავლო წლის ბოლოს წარადგენენ შესრულებული ღონისძიებების ანგარიშებს. ანგარიშების საფუძველზე ხდება მიღებული შედეგების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი. უკუკავშირის შეგროვება ხორციელდება შეხვედრების, კითხვარების ან სხვა კომუნიკაციის ფორმების მეშვეობით, რის შედეგადაც სკოლა იღებს ინფორმაციას შესრულებული საქმიანობის ეფექტიანობისა და განვითარების საჭიროებების შესახებ. **1.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გამჭვირვალობას. შესრულების ანგარიშები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის დადგენილი ფორმითა და არხებით (მაგალითად, საჯარო შეხვედრებზე წარდგენით ან სხვა კომუნიკაციის ფორმებით).

ექსპერტთა ვიზიტისას შესწავლილი დოკუმენტები იძლევა შესაძლებლობას, რომ ყველა დაინტერესებულ პირს ჰქონდეს ინფორმაცია გეგმის შესრულების პროცესისა და მიღებული შედეგების შესახებ, რაც ხელს უწყობს ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის პრინციპების განხორციელებას. **1.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლა გეგმების შესრულების შედეგებს იყენებს შემდგომი განვითარების პროცესში. შესრულებული ღონისძიებების შეფასების შემდეგ ხდება მიღებული მონაცემების ანალიზი, რის საფუძველზეც განისაზღვრება ძლიერი მხარეები და საჭირო გაუმჯობესების მიმართულებები. აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენება ახალი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ფორმულირებისას, პრიორიტეტების განსაზღვრისას და რესურსების განაწილებისას. **1.2.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2025-2032 წლები
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ბუღალტერი; საქმისმწარმოებელი; მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი; ბიბლიოთეკარი; მასწავლებელი; სკოლის ექიმი; დამლაგებელი; დარაჯი, ცეცხლფარეში.

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სახით მოქმედებს: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი ჯგუფის კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. მოსწავლეთა თვითმმართველობა ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებითა და თვითმმართველობის ქცევის კოდექსით. როგორც სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები წლის დასაწყისში ადგენენ სამუშაო გეგმას, რომლის შესაბამისადაც ახორციელებენ საქმიანობას წლის განმავლობაში, იკრიბებიან და განიხილავენ დაგეგმილ და რიგგარეშე საკითხებს.

თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას სკოლა სრულად არ ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლით კერძოდ, დაირღვა პროცედურა და სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 9 იანვრის N2-03 ბრძანებით, რითაც დაირღვა ზოგადი განათლების შესახებ კანონის 38-ე მუხლის „გ“ პუნქტი, რაც გულისხმობს, სამეურვეო საბჭო, სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომების ნუსხას და მათთვის გათვალისწინებულ დისციპლინურ სახდელებს, სკოლიდან გადაყვანის პირობებს.

<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 3.1.1.1 ინდიკატორთან მიმართებით, წარმოადგინა მტკიცებულება სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N6, რომელიც ადასტურებს, რომ სკოლის შინაგაკაწესი დამტკიცდა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 38-ე მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“. 3.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.</u>

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში არსებობს დელეგირებისა და ფუნქციების განაწილების სისტემა. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, სადაც პასუხისმგებლობებია გაწერილი. ბრძანებით შექმნილია სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმი. აგრეთვე სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ პირები/სტრუქტურული ერთეულები საქმიანობას ახორციელებენ წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად, სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისად, **3.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სტრუქტურული ერთეულების ოქმები და სამოქმედო გეგმები;
- სკოლის შინაგანაწესი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები: სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილია სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქციები, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვას ეფექტიანად . აგრეთვე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, სკოლის დირექტორის მიერ

დამტკიცებული სკოლაში თანამშრომლის მიღების წესის, ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისად.

სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე გამოცხადებით. კონკურსის მასალებით, დგინდება, რომ კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დადგინდა, რომ ვინაიდან სკოლას აქვს შემუშავებული, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი პერსონალის მართვის მექანიზმები, **3.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით, ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსების ამსახველი დოკუმენტებით (ოქმები, ბრძანებები) დადგინდა, რომ სკოლაში მასწავლებლის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, კვალიფიციური კადრის შესარჩევად ცხადდება კონკურსი. დასაქმების ვებ-გვერდზე teacherjobs.ge-ზე განთავსდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების დელეგირება სხვა დასაქმებულზე. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტები, რომლებიც ადგენს სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზაციას, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრავს ამ პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს, ასევე სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს (კანონიერ წარმომადგენლებს) შორის ურთიერთობათა პირობებს; შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე; იგი წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა სკოლის ყველა თანამშრომლის, მოსწავლისა და მშობლის (კანონიერ წარმომადგენლის) მიერ. აგრეთვე სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, დასაქმებულის დანიშვნა; სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო; სამუშაო ადგილი. **3.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც სკოლას გაცხადებული აქვს, რომ ადამიანური რესურსების მოზიდვა და შენარჩუნება წარმოადგენს თანმიმდევრულ პროცესს, აგრეთვე

სკოლაში დასაქმების მსურველთა, დასაქმებულთა მიმართ დაწესებულების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს და მათი შესრულების ანალიზს. დოკუმენტი აგრეთვე გულისხმობს ორგანიზაციის თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად.

სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტურ საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციისადმი წაყენებული საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაც განსაზღვრულია კანონმდებლობით. რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით.

შერჩევითობის პრინციპით თანამშრომელთა პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ 8 მასწავლებლის პირად საქმეში არ არის მოთავსებული ნასამართლობის ცნობა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, აგრეთვე ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 06.04.2026 - 05.05.2026. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ უზრუნველყოს მასწავლებელთა პირად საქმეში განათავსოს: ნასამართლობის; სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ; უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (05.05.2026 - მდე).</u> 3.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში სულ დასაქმებულია 33 თანამშრომელი, აქედან 23 მათგანი მასწავლებელია. რომლებსაც უდასტურდებათ შესაბამისი სტატუსები: უფროსი; წამყვანი, მენტორი და მოწვეული მასწავლებელი. თუმცა ვიზიტის პერიოდში, მასწავლებელთა პირადი საქმეებისა და ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით და სკოლის მიერ დადგენილ

საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა არ შეესაბამება სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლის რეალურ საათობრივ მდგომარეობას. შესაბამისად, დარღვეულია კანონი ზოგადი განათლების შესახებ, კერძოდ მოწვეული მასწავლებელი უნდა იყოს პირი, რომლის სამუშაო დატვირთვაა არაუმეტეს მასწავლებლის სრული დატვირთვისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგაკვეთილო საათების 50 პროცენტისა.

რაც შეეხება მასწავლებელთა შესარჩევ კონკურსს, სკოლის მასწავლებელთა ვაკანსიების ელექტრონული განაცხადების გვერდის (https://teacherjobs.ge/) გადამოწმების შედეგად და სკოლის მიერ მოწოდებული სხვადასხვა საკონკურსო კომისიის მასალებით დადგინდა, რომ სკოლას, კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით, სწავლის დაწყებამდე გამოცხადებული ქონდა სხვადასხვა ვაკანტურ ადგილებზე კონკურსი ადგილების დასაკავებლად.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 05.04.2026 - 01.09.2026. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კადრის მიღება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პოზიციაზე, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (01.09.2026- მდე).</u> 3.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ერთად გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და გეგმავენ ერთობლივ პროექტებს. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებს, აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები. შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობები იკრიბებიან და გუნდურად იღებენ გადაწყვეტილებებს თავმჯდომარის არჩევაზე, აქტივობების დაგეგმვაზე, შეიმუშავებენ თვითმმართელობის ქცევის წესს, ირჩევენ წარმომადგენელს დისციპლინურ კომიტეტში. მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აძლევენ განმავითარებელ შეფასებას და რეკომენდაციებს.

სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, შესაბამისად, **3.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება, რაც გამოიხატება დირექციის მხრიდან თანამშრომლისადმი სიგელის ან სერტიფიკატის გადაცემით.

სკოლამ, 2025 წელს თანამშრომელთა წახალისების მიხნით, თითოეულ მათგანს ფულადი პრემია გადასცა. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების ფორმები, კერძოდ: პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმი და **3.1.2.6 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- ღია კონკურსის ჩატარების მასალები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სტრუქტურული ერთეულების ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. აგრეთვე წარმოადგენს იმ მიზანთა ერთობლიობას, რომელთა მიღწევაც სურს სკოლას საკადრო მიმართულებით და ამ მიზნების მისაღწევად შესასრულებელ კონკრეტულ ამოცანებს. გარდა ამისა, აღნიშნული დოკუმენტი გულისხმობს დაწესებულების თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი სკოლის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას. აღნიშნული დებულებით სკოლის მიზნების მიღწევისთვის უმნიშვნელოვანესია გეგმის განხორციელების პროცესის მუდმივი მონიტორინგი, განხორციელებული აქტივობების და მათთან დაკავშირებული შედეგების შეფასება და ანალიზი. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პერსონალის შეფასება ძირითადად ხორციელდება სამუშაო პროცესზე დაკვირვებით და უკუკავშირის მიცემით. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში აგრეთვე გაწერილია სკოლაში დასაქმებული პერსონალის საქმიანობის შეფასების გამჭვირვალე მექანიზმები. განსაზღვრულია შეფასების მნიშვნელობა, შეფასების გავლენა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, შეფასებაში ჩართული პირები, მონაცემთა შეგროვების მეთოდები და სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმებში ასახვის ფორმები. ვინაიდან სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, **3.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის განვითარება ხორციელდება სისტემურად და ეფუძნება გამოვლენილი პროფესიული საჭიროებების ანალიზს. ფუნქციონირებს ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის საქმიანობა რეგულირდება

შესაბამისი ბრძანებითა და დებულებით. აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული ჯგუფის უფლებამოსილებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და თანმიმდევრულობას.

მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებები ადასტურებს, რომ ჯგუფი მიზანმიმართულად მუშაობს პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებასა და ანალიზზე. პროცესი მოიცავს როგორც პედაგოგიური საქმიანობის შეფასებას, ასევე მასწავლებელთა ინდივიდუალური ინტერესებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებებისა და გამოწვევების გამოვლენას. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე იგეგმება შესაბამისი აქტივობები და პროფესიული განვითარების ღონისძიებები.

დამატებით აღსანიშნავია, რომ სკოლა ზრუნავს ადმინისტრაციული პერსონალის განვითარებაზეც, ბიბლიოთეკარმა უკვე გაიარა პროფესიული გადამზადების კურსი, ხოლო დაგეგმილია საქმის მწარმოებლის გადამზადებაც. ეს მიუთითებს, რომ პერსონალის განვითარება სკოლაში არის უწყვეტი და საჭიროებებზე ორიენტირებული პროცესი. **3.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ქმნის პირობებს, რომ პერსონალის პროფესიული განვითარება იყოს უწყვეტი და მიზანმიმართული. ადმინისტრაცია ზრუნავს თანამშრომლების საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათი ცოდნისა და უნარების სრულყოფაზე, რაც განაპირობებს თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გაცნობასა და პრაქტიკაში დანერგვას. მასწავლებლებს ეძლევათ შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთონ ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში, აგრეთვე მონაწილეობა მიიღონ სკოლის შიდა საქმიანობებში, რომლებიც მიმართულია პროფესიული ზრდის ხელშეწყობაზე. სკოლაში ხშირად იმართება შიდა სასკოლო ღონისძიებები. მასწავლებელთა პირადი საქმეების შემოწმების პროცესში გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი იყო მრავალი სერტიფიკატი, რომლებიც ადასტურებს მათი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროცესში ჩართულობას. გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აქტიურად მიმდინარეობს მასწავლებელთა ურთიერთდასწრება და უკუკავშირის მიცემა კოლეგებს შორის, რაც სისტემურად უზრუნველყოფს პედაგოგებს შორის პროფესიული გამოცდილების გაზიარებას, ძლიერი მხარეების გამოვლენას და გაუმჯობესების საჭიროებების დადგენას. აღნიშნული პრაქტიკა კიდევ უფრო ამყარებს სკოლაში თანამშრომლურ კულტურას და ზრდის პროფესიული განვითარების ხარისხს. **3.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია თუ როგორ ზრუნავს სკოლა ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. სკოლა აქტიურად ზრუნავს თანამშრომელთა ეფექტურ ინტეგრაციაზე სამუშაო გარემოში. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტისა და

მასწავლებელთა გასაუბრების შედეგების საფუძველზე უნდა ითქვას, რომ სკოლა თანამშრომლებს უზრუნველყოფს თანაბარი შესაძლებლობებითა და გამჭვირვალე პროცესებით. ახალდანიშნულ თანამშრომლებს ეძლევათ შესაძლებლობა სწრაფად და ეფექტურად ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში: მათ ეცნობებათ სკოლის ღირებულებები, მიზნები, შინაგანაწესი და პროფესიული ვალდებულებები, ასევე განემარტებათ შეფასების კრიტერიუმები და განვითარების პერსპექტივები. პროცესი ორგანიზებულია ისე, რომ ახალბედა კადრებმა სკოლის ბაზაზე მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება და გაიარონ შეფასება. თანამშრომელთა ადაპტაცია-ორიენტაციის სისტემა უზრუნველყოფს, როგორც პროფესიულ, ისე სოციალურ ინტეგრაციას, რაც ზრდის მოტივაციას, აუმჯობესებს სამუშაო გარემოს და ამყარებს კოლეგიალურ ურთიერთობებს. **3.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტებში არის აღწერილი თუ როგორ ახორციელებს სკოლა პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას, თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება, ფულადი პრემია. შესაბამისად, **3.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (დირექტორის ბრძანება № 2-61; 05; 09 იანვარი 2026 წლის), რომლის საფუძველზეც სკოლაში ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ხარისხის უზრუნველყოფა; ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები; სკოლაში სწავლა-სწავლებისა ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები; ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტის მიხედვით სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და შეფასების პროცედურის მიზანია მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც პირდაპირპროპორციულია სკოლის მისიის და საშუალებას იძლევა მიღწეული იქნას საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება მუშაობს აღნიშნული პრინციპით. ასკოლო პროცესების შეფასება მიმდინარეობს ციკლურ რეჟიმში და ეფუძნება შიდა ხარისხის მართვის მოდელს „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე“. ვინადაინ სკოლას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის ერთგვარი პრაქტიკა, შესაბამისად **3.3.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში აღწერილია ყველა ის პროცესი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიან წარმართვასთან. იდენტიფიცირებულია მმართველობითი პროცესები (სკოლის სტრატეგიული დაგეგმვა, ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვა), ძირითადი პროცესები (სასწავლო პროცესის

ორგანიზება, სწავლების მეთოდოლოგია, შეფასების სისტემა, სასწავლო პროგრამების განხორციელება) და დამხმარე პროცესები (ადმინისტრაციული მომსახურება, ინფრასტრუქტურის მართვა, საინფორმაციო უზრუნველყოფა, უსაფრთხოების წესების დაცვა). სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შემდეგი დოკუმენტები: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, საქმისწარმოების წესი, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი; თანამშრომლის მიღების წესი, მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, შესაბამისად, **3.3.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სასკოლო საზოგადოებასთან, სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში დანერგილია საჩივრებისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. განსაზღვრულია პროცედურები, რომლითაც თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ სკოლაში მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვა ან საჩივრის წარდგენა.

პროცესი მოიცავს საჩივრის მიღების, განხილვისა და მასზე რეაგირების კონკრეტულ ეტაპებს, ასევე ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს. თითოეულ მხარეს ეძლევა შესაძლებლობა, გამოხატოს საკუთარი პოზიცია და მიიღოს არგუმენტირებული პასუხი. თითოეული მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. ვინაიდან სკოლას დეტალურად აქვს განსაზღვრული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, აღნიშნულიდან გამომდინარე, **3.3.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით თანაბრად. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. აღნიშნულიდან გამომდინარე, **3.3.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- თანამშომელთა ხელშეკრულებები;
- სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში იმართება მშობელთა კრებები, სადაც დამრიგებლები მშობლებს აწვდიან მნიშვნელოვან ინფორმაციას: სკოლის შინაგანაწესის მოთხოვნებს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებებს და წლის განმავლობაში დაგეგმილ აქტივობებს.
გარდა ამისა, სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატურად ტარდება დამრიგებლისა და საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან, სადაც განიხილება მიმდინარე სასწავლო და საგანმანათლებლო საკითხები.
ასევე, მოსწავლეებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს (faceebook).
ინფორმაციის მიწოდების აღნიშნული სისტემა აძლევს სკოლას საშუალებას არა მხოლოდ დროულად მიაწოდოს ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებას, არამედ მიიღოს უკუკავშირიც. უკუკავშირის საფუძველზე სკოლა რეაგირებს შესაბამისად, რაც ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამჭვირვალობასა და საზოგადოების ჩართულობას. **3.3.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ: სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი. ისინი მონაწილეობენ ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა სკოლის დირექტორის არჩევა, სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება, საჩივრების განხილვა, პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმება. ხოლო რაც შეეხება პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებლები. პედაგოგიური საბჭო იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, თავისი წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა.
სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები. საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განიხილავენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში, თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს დისციპლინური გადაცდომები.

მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს, ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირებას, გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, პროექტებს, გამოფენებს და სხვა.
მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის, სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი რესურსცენტრის წარმომადგენლები.
სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფები (ისგ), რომლის შემადგენლობაში შედიან სპეციალური მასწავლებელი, საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი.
ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა, შესაბამისად, **3.3.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქტურული ერთეულების ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი,

რომელსაც გავლილი აქვს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ ორგანიზებული უფლებამოსილი პირის მოსამზადებელი ტრენინგი.

დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტისას ვერ წარმოადგინა სკოლის მიერ დამტკიცებული და შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლამ, ექსპერტთა ვიზიტის დროს წერილობით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან და სტანდარტთან შესაბამისობის დადგენისა და და შესაბამისი წინადადების მომზადების შესახებ. (MES 2 26 0000336421; 19/03/2026).

სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით, დაწესებულებამ 2026 წლის 03 მარტს მოიპოვა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ექსპერტის დასკვნა № 001323526, რომლის თანახმადაც სსიპ - იაკობ ტრიპოლსკის სახელობის დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის №1 საჯარო სკოლის შენობის (საკ. კოდი: 71.53.05.612) ტექნიკური მდგრადობა დამაკმაყოფილებელია. რაიმე სახის მნიშვნელოვანი დაზიანებები ან დეფორმაციები შენობის მზიდ კონსტრუქციებზე და გადახურვის ფილებზე არ დაფიქსირებულა. კვლევით ნაწილში აღწერილი დაზიანებები ლოკალური ხასიათისაა და <u>საფრთხეს არ უქმნის შენობის მდგრადობასა და ვარგისია ექსპლუატაციისათვის.</u>

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 08.04.2026 - 08.04.2027. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცება და შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმება, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (08.04.2027- მდე).</u>

ექსპერტების მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ მიზანშეწონილია აიყვანოს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

3.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი, იგი სრულად არ არის აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ: სკოლამ ვერ წარმოადგინა კანონმდებლობით განსაზღვრული აუცილებელი მედიკამენტების შესყიდვის/ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. სკოლამ აგრეთვე ვერ წარმოადგინა სპეციალური ფორმები და ჟურნალები

რომელიც რეგულარულად უნდა იწარმოებოდეს სკოლის სამედიცინო კაბინეტში. გარდა ამისა, სამედიცინო კაბინეტში არ არსებობს ხელოვნური ბარიერით (გამყოფი პანელი, ტიხრული შირმა) გამოყოფილი მცირე გასასინჯი სივრცე, პაციენტთა გასინჯვისას პრივატულობის უზრუნველყოფის მიზნით.

სკოლის ექიმის პირადი საქმის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში ექიმის პოზიციაზე დასაქმებულია კადრი, რომელსაც დიპლომით მინიჭებული აქვს სამკურნალო საქმის კვალიფიკაცია და რომელიც სახელმწიფო სერტიფიკატებს ფლობს ზოგად ქირურგიასა და ტრანსფუზიოლოგიაში, რაც არ აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ნორმას, რადგან სკოლის ექიმად მუშაობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, საქართველოს ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: ა) „პედიატრია"; ბ) „საოჯახო მედიცინა"; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი". გამომდინარე აქედან **<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.2. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 07.04.2026 - 07.08.2026. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". სკოლამ უზრუნველყოს: შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის დანიშვნა სკოლის ექიმის პოზიციაზე; სპეციალური ფორმებისა და ჟურნალები რეგულარულად წარმოება; ხელოვნური ბარიერის (გამყოფი პანელი, ტიხრული შირმა) განთავსება; სამედიცინო კაბინეტის მომარაგება პირველადი საჭიროების მედიკამენტებით შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (07.08.2026 - მდე). 3.4.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.</u>**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლის დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი, რომელსაც გავლილი აქვს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ ორგანიზებული უფლებამოსილი პირის მოსამზადებელი ტრენინგი. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" №06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია ერთი დარაჯი. სკოლას აგრეთვე შედგენილი აქვს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგიც, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია 29 ვიდეო-სათვალთვალო კამერა, თუმცა ვიზიტის დროს 28 მათგანი ფუნქციონირებდა, გარდა ამისა, ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის შიდა სივრცეებში

როგორიცაა: კიბის უჯრედი, ლიფტის მიმდებარე სივრცე და ფოიეები, საჭიროა განთავსდეს დამატებით ვიდეო-სათვალთვალო კამერები ყველა სართულზე, რადგან სრულად ხილვადი გახდეს სკოლის შიდა ტერიტორია. გამომდინარე აქედან, სრულად ვერ ხერხდება სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 27.03.2026 - 30.12.2026. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". სკოლამ უზრუნველყოს სკოლის შიდა სივრცეებში: კიბის უჯრედი, ლიფტის მიმდებარე სივრცე და ფოიეები, დამატებით ვიდეო-სათვალთვალო კამერების განთავსება შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (30.12.2026 - მდე). 3.4.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.</u>

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლაში არის გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სივრცის შექმნას. დაწესებულებას აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოებისათვის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას; მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებასა და მისი ღირსების დაცვას; სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ მოქმედებას; სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოსათვის საფრთხის შექმნაზე რეაგირება.

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, რომლის მიზანია ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლება. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭოც. შესაბამისად **3.4.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. შესაბამისად **3.4.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და მის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. მშობელსა და სკოლას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს შეთანხმება მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ. სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ის ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც სკოლას დაენიშნა საგანმანათლებლო რესურსცენტრის ბრძანების შესაბამისად (ბრძანება N 38; 21/03/2025). **3.4.1.6 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში დაცულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების შესახებ. სკოლას აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. სკოლას ჰყავს ბრძანებით განსაზღვრული პირი რომელიც პასუხისმგებელია კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტურ მუშაობაზე. **3.4.1.7 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაზე. საბჭო იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და რეგულარულად ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს, რომელიც შეეხება წინამდებარე რეკომენდაციების შესრულებას. ვიზიტისა და დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილება ისეთი საკითხები, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებას. საბჭოს შეხვედრები წელიწადში მინიმუმ ოთხჯერ იმართება, რაც უზრუნველყოფს სისტემურ მონიტორინგს და უსაფრთხოების მართვის პროცესების მუდმივ განვითარებას. **3.4.1.8 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- დამლაგებლის შრომითი ხელშეკრულება;
- წერილობით მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს (MES 2 26 0000336421; 19/03/2026).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ - იაკობ ტრიპოლსკის სახელობის დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის №1 საჯარო სკოლა სასწავლო საქმიანობას სამ სართულიან შენობაში ახორციელებს, რომელსაც ორი სხვადასხვა მისამართი უფიქსირდება სკოლის გამჭოლი მდებარეობის გამო.

2026 წლის 13 მარტის საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სკოლა მდებარეობს: დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაური, მერაბ კოსტავას ქუჩა N31/ შოთა რუსთაველის ქუჩა N36 - ში. აღნიშნული სამ სართულიანი ნაგებობა განთავსებულია არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე. შენობის დაზუსტებული ფართი შეადგენს 3944.00 კვ.მ-ს. სკოლის ტერიტორიაზე ასევე მდებარეობს საქვაბე და სპორტული მოედანი. უძრავი ქონება სახელმწიფოს საკუთრება. ობიექტის საკადასტრო კოდია № 71.53.05.612.

საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. თითოეულ კლასში განთავსებულია ერთადგილიანი მერხები და სკამები, მასწავლებლის მაგიდა და სკამი, დაფა და საჭირო სასწავლო ინვენტარი. სკოლის ინფრასტრუქტურა მოიცავს ერთიანად ფუნქციონირებად სპორტულ დარბაზს, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერულ ლაბორატორიებს, სამედიცინო კაბინეტს, ბიბლიოთეკას, ადმინისტრაციულ ოთახებს, სამასწავლებლოს, რესურსოთახს და სხვა დამხმარე სივრცეებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლების პროცესის მრავალფუნქციურობას. აგრეთვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს სპორტული მოედანი, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ჩაერთონ ფიზიკურ აქტივობებში და განახორციელონ სასკოლო სპორტული ღონისძიებები.

ინფრასტრუქტურული გარემოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სკოლასთან მისასვლელი გზა, ვინაიდან იგი უშუალოდ უკავშირდება მოსწავლეთა უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას. სკოლა მდებარეობს სატრანზიტო მაგისტრალთან, სადაც ავტოსატრანსპორტო მოძრაობა განსაკუთრებით ინტენსიურია, რაც ზრდის საგზაო შემთხვევების რისკს და ქმნის პოტენციურ საფრთხეს მოსწავლეთა ყოველდღიური გადაადგილების პროცესში. აღნიშნული გარემოება საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებასა და მიზნობრივ პრევენციულ ღონისძიებებს. აუცილებელია უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ინფრასტრუქტურული და ორგანიზაციული მექანიზმების დანერგვა. ვინაიდან გზის მდგომარეობა უშუალოდ უკავშირდება მოსწავლეთა უსაფრთხოგადაადგილებას. <u>**სკოლას მიეცა რჩევა: მიზანშეწონილია, რომ სკოლამ მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, განახორციელოს წერილობითი კომუნიკაცია ადგილობრივ თვითმმართველობასთან, რათა დადგინდეს ინფრასტრუქტურული მექანიზმების საჭიროება და დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.3.5.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**</u>

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის შენობაში ფუნქციონირებს სხვადასხვა საერთო სარგებლობის სივრცე, რომლებიც განკუთვნილია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. მათ შორის აღსანიშნავია: კომპიუტერული ოთახი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრაციას; საბუნებისმეტყველო საგნებისთვის განკუთვნილი ოთახი; სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი, ასევე, სამასწავლებლო. სკოლის სააქტო დარბაზი, ფოიე, დერეფნები და ეზო წარმოადგენს მრავალფუნქციურ სივრცეებს, რაც იძლევა სხვადასხვა აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას. მაშასადამე **3.5.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სასკოლო ბიბლიოთეკის მასალების შესწავლისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია სკოლის საკუთრებაში არსებული საბიბლიოთეკო ფონდი (ბეჭდური, ელექტრონული, ფოტო და ვიდეო-მასალა). შესაბამისი დებულებით და გეგმით განსაზღვრულია სკოლის ბიბლიოთეკის მიზნები: საბიბლიოთეკო ფონდის ფორმირება სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებისა და მკითხველთა მოთხოვნების მიხედვით. საბიბლიოთეკო ფონდების დაცვა, აღრიცხვა, დამუშავება, საცნობარო-საძიებო საშუალებების შექმნა და მათი გამოყენება საბიბლიოთეკო დარგში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად. ბიბლიოთეკის მკითხველთა უზრუნველყოფა მათთვის საჭირო ინფორმაციით. ვიზუალური დათვალიერებით, ბიბლიოთეკართან გასაუბრებით და სარეგისტრაციო ჟურნალების გადამოწმების შედეგად უნდა ითქვას, რომ ბიბლიოთეკაში წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია შესაბამის რეესტრში. **3.5.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ მოსწავლეებისათვის. კერძოდ, სკოლის შენობის შესასვლელში დამონტაჟებულია ლიფტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ყველა სართულზე შშმ პირის გადაადგილებას (ვიზიტის პერიოდში სკოლაში არ ირიცხებოდა შშმ პირი), ლიფტი აგრეთვე მოწყობილია სკოლის შიდა სპორტულ დარბაზში. ყველა სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია სკოლის ყველა კაბინეტი, კერძოდ, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა ყოველივე ამის გათვალისწინებით სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, შესაბამისად **3.5.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით სხვადასხვა აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს და ამისთვის იყენებს სკოლის სააქტო დარბაზს, ფოიეს და დერეფნებს, სკოლის ეზოს და საკლასო ოთახებს. მათი ნაწილი ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეთა ჩართულობით. ამ გზით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას. **3.5.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის აზომვითი ნახაზი;
- შენობის ვიზუალური დათვალიერება;
- სასკოლო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მერხები, დაფები, სახელმძღვანელოები);
- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე სკოლაში დასაქმებული თანამშრომლებისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს ტექნოლოგიებით აღჭურვილი ოთახი, რომელსაც საჭიროებისამებრ საგაკვეთილო პროცესისთვისაც იყენებენ. საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბორატორია. მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის დათვალიერებით ჩანს, რომ ამ ეტაპზე სკოლას აქვს საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა, პორტატული კომპიუტერები (ლეპტოპი), პროექტორი, პრინტერი. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტექნიკა გამართულ მდგომარეობაშია. კომპიუტერულ ოთახებში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებებს. **3.6.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში განთავსებულია საზიარო სამუშაო სივრცე და კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის და მასწავლებლისთვის. აღნიშნული სივრცე იძლევა შესაძლებლობას კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებისთვის საშინაო დავალებების მოსამზადებლად, პრეზენტაციების შესაქმნელად, ონლაინ ჟურნალში მუშაობისთვის, ასევე ტრენინგებისა და სხვა სასწავლო აქტივობების ჩასატარებლად. კომპიუტერული ტექნიკის სწორი ფუნქციონირების, ტექნიკური მხარდაჭერისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისწარმოებელი. **3.6.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერება.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას და ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. მისი ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. **3.6.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა: Pasanauri@mes.gov.ge - სადაც სკოლა იღებს ზოგიერთ ინფორმაციას და დოკუმენტს. **3.6.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. დადგინდა, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია სკოლის ბარათზე, რაც მოიცავს როგორც ადმინისტრაციის, ისე მოსწავლეთა მონაცემებს. ასევე სრულადაა წარმოდგენილი მასწავლებლების მონაცემები და სისტემაში ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. **3.6.2.3. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. დაწესებულება დუშეთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, მიმართავს საქართველოს

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ასევე, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. **3.6.2.4. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- Eschool -ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი შემდეგ მისამართზე: https://skolebi.emis.ge/. გარდა ამისა სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, სადაც გახსნილი აქვს თავისი გვერდი და იძლევა წერილის მიწერის შესაძლებლობას, ასევე სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც რეგულარულად ქვეყნდება სასკოლო ცხოვრების ამსახველი სიახლეები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე https://skolebi.emis.ge/ სადაც სკოლას განთავსებული აქვს სხვადასხვა სახის ინფორმაცია იგი არ ასრულებს აქტიური საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას, რადგან მასზე არსებული დოკუმენტები ძალიან მწირია.
<u>**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 25.03.2026 - 30.12.2026. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ განახორციელოს საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ოფიციალური ვებ გვერდის საშუალებით შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (30.12.2026- მდე). 3.6.3.1 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**</u>

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, რადგან ოფიციალურ გვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია/ინფორმაცია არ არის სრულყოფილი. თუმცა, სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. სკოლის ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით, ჩანს რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდიდან.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.2. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 25.03.2026 - 30.12.2026. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ ვებგვერდზე განათავსოს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სრულყოფილი/განახლებული ინფორმაცია შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (30.12.2026 - მდე). 3.6.3.2 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.</u>

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტების შესწავლით და ადმინისტრაციასთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ კომუნიკაციის სხვადასხვა არხის, მშობლებთან, ადგილობრივ თემთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან და მოსწავლეებთან, საშუალებით მიღებული ინფორმაცია ეხმარება სკოლას გამოავლინოს საჭიროებები, შეაფასოს არსებული ვითარება და დაგეგმოს შესაბამისი ცვლილებები. უკუკავშირის სისტემური გამოყენება ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის ხარისხის ამაღლებას, გამჭვირვალობის ზრდას და სასკოლო საზოგადოების წევრთა ჩართულობას პროცესებში. **3.6.3.3. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი (skolebi.emis.ge). სკოლას ვებ გვერდზე განთავსებული აქვს ინფორმაცია ქართულ ენაზე. **3.6.3.4. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული**

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე არ არის განთავსებული სკოლის მოქმედი, ხედვა და ღირებულებები, სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა; პროგრამები, მხარდაჭერის სერვისები; ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმები; ინფრასტრუქტურა; ფინანსები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.5. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 25.03.2026 - 30.12.2026. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ ვებგვერდზე განათავსოს: სკოლის მოქმედი, ხედვა და ღირებულებები, სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა, პროგრამები, მხარდაჭერის სერვისები, ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმები, ინფრასტრუქტურა და ფინანსები, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (30.12.2026- მდე). 3.6.3.5 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ოფიციალური ვებ.გვერდის https://skolebi.emis.ge/ დათვალიერება;
- სკოლის სოციალური ქსელის ვიზუალური დათვალიერება;
- სკოლის შენობის ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო სკოლას ურიცხავს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ფულად სახსრებს, მასწავლებელთა დანამატს. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს/ღონისძიებებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება **3.7.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. შესყიდვების საფუძველს წარმოადგენს სკოლის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის მიმართვა, რომელსაც კათედრები აწვდიან ინფორმაციას მათთვის საჭირო ინვენტარის თაობაზე. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. **3.7.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
- სკოლის 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური საქმიანობის ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის მოსწავლეებისთვის სკოლაში შექმნილია თანაბარი პირობები განათლების მისაღებად. სკოლის ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო რესურსებით მოსწავლეები სარგებლობენ დისკრიმინაციის გარეშე და თანაბრად. აღნიშნული დადასტურდა სკოლის დოკუმენტაციის გაცნობით და ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით. უფლებების დაცვის გარანტიას წარმოდგენს სკოლის შინაგანაწესი და ის ღონისძიებები, რასაც სკოლა ატარებს საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის დაცვის კუთხით. სკოლა ახდენს მოსწავლეებისა და მშობლების პერსონალური მონაცემების სათანადო წესით დამუშავებასა და დაცვას. მშობელს შეუძლია წინასწარ შეთანხმებით შეხვდეს კლასის დამრიგებლებს და გაეცნოს სასურველ ინფორმაციას ინდივიდუალურად ორგანიზებულ შეხვედრაზე, ასევე მშობელთა კრებებზე. სკოლას ჰყავს დარაჯი, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. **4.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის სამუშაო გეგმას, ქცევის კოდექსს და სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია დერეფანში. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითავლისწინებს შინაგანაწესის გაცნობას, რაც დასტურდება ხელმოწერით. სკოლაში თვალსაჩინოდაა გამოკრული მოსწავლის ქცევის კოდექსი, მორიგეობის განრიგი და სკოლის შიდა რეგულაციები. შესაბამისად, **4.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ. **4.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- მშობელთა კრების ოქმი
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის ადმინისტრაციის წევრებმა გასაუბრების დროს განმარტეს, რომ სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის'' თანახმად. აღნიშნული ბრძანებითვე ახდენს სკოლა სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცედურას. სკოლაში მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის'' შესაბამისად. **4.1.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა სრულად იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, ასევე სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის დადგენილ მექანიზმებს. დოკუმენტების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული პროცესები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და სკოლის შიდა სამართლებრივი დოკუმენტებით, რაც უზრუნველყოფს პროცედურების გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. მოსწავლეთა სტატუსთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება მიიღება წინასწარ განსაზღვრული წესების შესაბამისად და ასახულია შესაბამის დოკუმენტაციაში. დოკუმენტების დათვალიერების შედეგად ირკვევა, რომ სკოლას მოწესრიგებული აქვს მოსწავლეთა პირადი საქმეები. **4.1.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სოციალური ქსელის საშუალებით, ხელმისაწვდომია სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნომრები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას. წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და

მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი **4.1.2.3. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის საშუალებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პორტალის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნულ გვერდზე ინფორმაცია არის პერიოდულად განახლებადი და ასახავს სკოლის საქმიანობას, აქტივობებს და ემსახურება ინფორმირებულობას. ასევე სკოლა აქვს საინფორმაციო დაფა, მასწავლებლებს შექმნილი აქვთ დახურული ჯგუფები, სადაც ხდება დაინტერესებულ პირთა ინფორმირება. **4.1.2.4. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- დირექტორის ბრძანება პორტალის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა ხელს უწყობს მათ ადაპტირებას სასკოლო სივრცეში. გარდა ამისა, სკოლას აქვს მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესი, რომელიც მოიცავს შემდეგს: ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში; წესი აგრეთვე მოიცავს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპებს და მნიშვნელოვანი ფაქტორებს; პირველკლასელთა ადაპტაციას; სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას; მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას; მოსწავლეთა მიღება, სწავლის დაწყების პირველი დღეს; დეზადაპტაციის ნიშნებს; დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებებს. **4.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ცდილობს და ხელს უწყობს მოსწავლის სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას. დამრიგებელი მუდმივად ზრუნავს ახალ მოსწავლეებზე. პირველკლასელებს აქვთ საშუალება, დაწვრილებით გაეცნონ სასკოლო გარემოს. სხვადასხვა ღონისძიებების, შეხვედრებისა და აქტივობების საშუალებით სკოლა ცდილობს პირველკლასელთა სასწავლო გარემოსთან შეგუებას. სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში იქმნება ისგ ჯგუფები, რომელთა მიერ ხდება მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. **4.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს გზით დადგინდა, რომ სემესტრის მიმდინარეობის დროს და დასასრულს, კლასის დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ ინფორმაციას მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სემესტრული გამოცდები. აღნიშნულთან დაკავშირებით ეცნობება მშობლებს დამრიგებლის მიერ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით. **4.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული, ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების ჩატარებაში. **4.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სასკოლო საზოგადოება ჩართულია სასკოლო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლას აქვს მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი პრაქტიკა, მოსწავლეს ან/და მოსწავლეთა ჯგუფს შეუძლია ინიციატივით მიმართოს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობას, კლასის დამრიგებელს, დირექციას და ჩაერთოს ინიციატივის განხილვის პროცესში; მოსწავლეთა თვითმმართველობა ან/და კლასის დამრიგებელი მხარს უჭერ მოსწავლის ან/და მოსწავლეთა ჯგუფის ინიციატივას და მიმართავს სკოლის დირექციას. მოსწავლეებთან დასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად მონაწილეობს სასკოლო ცხოვრებაში. სკოლაში ხორციელდება საკლუბო მუშაობა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს რამდენიმე თემატურ კლუბებს: ლიტერატურული კლუბი და პროგრამირების კლუბი, აღნიშნული კლუბის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს სკოლის მოსწავლეთა ჯგუფი. სკოლას სურს მოსწავლეებს შეეძლოთ მათთვის საინტერესო მომსახურება მიიღონ ადგილზე. აღნიშნულ კლუბებს სხვადასხვა პროექტი აქვს განხორციელებული, რაც დასტურდება სკოლის მიერ მოწოდებული მასალებით და ვიზუალური დათვალიერებით. **4.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში არსებობს სხვადასხვა საშუალებებით (კითხვარი, უშუალო კომუნიკაცია) მოსწავლეთა და დაინტერებული პირებისგან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა, რაც გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას. სკოლას აქვს კითხვარების შექმნის და გამოყენების ერთგვარი პრაქტიკა თმცა განმარტა, რომ მომავალში იგეგმება სხვადასხვა ტიპის თვითშეფასების კითხვარების შემუშავება/დახვეწა, რომელიც თავის მხრივ დაეხმარება მოსწავლეთა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი მიიღოს, რითაც კიდევ უფრო გაუმჯობესდება მოსწავლეთა მომსახურება. აღნიშნულის გათვალისწინებით **4.2.1.6 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- გასაუბრება მოსწავლეებთან/მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან;
- შემუშავებული კითხვარები;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესის.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის მიერ მოწოდებული მასალებით (ოქმები/ფოტომასალა) და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ კლასის დამრიგებელი კლასის საათზე ესაუბრება ბავშვებს სხვადასხვა პროფესიაზე. დირექტორთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა მუშაობს აღნიშნული მიმართულებით და აპირებს მიმდინარე წელს მოსწავლეებს შეთავაზონ სხვადასხვა სასწავლო პროგრამა. პერიოდულად იგეგმება სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანების მოწვევა და საუბარი მათ პროფესიაზე, პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით. აგრეთვე დაგეგმილია მოსწავლეთა ვიზიტები სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებლებში. <u>სკოლას მიეცა რჩევა, აქტიურად ითანამშრომლოს სხვადასხვა ორგანიზაციებთან მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით.</u> **4.2.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ორგანიზებას უწევს სხვადასხვა პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პროფესიის პირებთან შეხვედრებს საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, რათა მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას. აგრეთვე სკოლა აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. **4.2.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

დირექციასთან გასაუბრებით და სკოლის მიერ წარმოდგენილი კითხვარებით დადგინდა, რომ სკოლა მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით უკუკავშირს იღებს ანკეტების მეშვეობით და მშობლებთან შეხვედრებისას. მიმდინარე სასწავლო წლიდან დაგეგმილია, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, უკუკავშირი სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლიდან გამოკითხვების საშუალებით. მოსწავლეთა და მშობელთა მხრიდან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე სკოლა სასკოლო საზოგადოებას შესთავაზებს მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებულ მომსახურებას. **4.2.2.3. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა;
- კითხვარები;
- სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცის წესი. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება ისგ ჯგუფი. ისგ ჯგუფის შეხვედრები ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ოთხჯერ და საჭიროების შემთხვევაში მეტჯერაც. ისგ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურადაა ჩართული შვილის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ისგ გეგმის შედგენაში. თითოეული მოსწავლისათვის შედგენილი ინდ. გეგმა ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მაქსიმალურად არის მორგებული სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სკოლაში ბრძანების საფუძველზე შექმნილია სკოლის შიდა მონიტორინგის

ჯგუფი, რომელიც განიხილავს მონიტორინგის შედეგებს და წლის ბოლოს დებს დასკვნას. სასწავლო წლის დაწყებამდე სსსმ მოსწავლე და მისი მშობელი ხვდება კლასის დამრიგებელს, სპეც. მასწავლებელსა და დირექტორს. შეხვედრის მიზანია მოსწავლე ადაპტირდეს სასკოლო გარემოსთან. ასევე, წინასწარ ეწყობა შეხვედრა იმ კლასის მშობლებთან, რომელშიც მოსწავლეს მოუწევს სწავლა. სპეციალურმა მასწავლებელმა წარმოადგინა მიმდინარე წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების საქმოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობები. ინდიკატორი **4.2.3.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმაში სპეც. მასწავლებელს ყურადღება გამახვილებული აქვს მშობლის, დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლის ჩართულობაზე. ექსპერტებმა დაათვალიერეს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რესურსები, გაესაუბრნენ სპეც. მასწავლებელს და დეტალურად გაეცნენ მის საქმიანობას. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში მუდმივად ხორციელდება სსსმ მოსწავლეების განვითარებისთვის საჭირო აქტივობები. სპეც. მასწავლებელთან გასაუბრებით და რესურსოთახის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სსსმ მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სასკოლო ღონისძიებებში. შესაბამისად **4.2.3.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს, შესაბამისად **ინდიკატორი 4.2.4.1. ვერ შეფასდება.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს, შესაბამისად **ინდიკატორი 4.2.4.2. ვერ შეფასდება;**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს, შესაბამისად **ინდიკატორი 4.2.4.3. ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ - იაკობ ტრიპოლსკის სახელობის დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის №1 საჯარო სკოლაში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება ინკლუზიურ და მონაწილეობით მიდგომას, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და სხვადასხვა ინტერესის, შეხედულებისა და საჭიროების გათვალისწინებას. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში აქტიურად მონაწილეობს ადმინისტრაცია და პედაგოგები. მოსწავლეები და მშობლები მეტნაკლებად არიან ჩართულები არნიშნულ პროცესში, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების კოლეგიალურობას და გამჭვირვალობას.

სკოლაში დანერგილია სისტემური მექანიზმები, როგორიცაა საჭიროებათა კვლევა, გამოკითხვები, ფოკუსჯგუფები და უკუკავშირის სხვადასხვა ფორმატი, რომლის საშუალებითაც იდენტიფიცირდება როგორც აკადემიური, ისე სოციალური და ემოციური საჭიროებები. აღნიშნული მონაცემები გამოიყენება კურიკულუმის მიზნების, პრიორიტეტებისა და სასწავლო აქტივობების განსაზღვრისას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს, რაც აისახება დიფერენცირებული სწავლების, დამატებითი საგანმანათლებლო რესურსებისა და არაფორმალური აქტივობების შეთავაზებაში. ამასთანავე, კურიკულუმი ითვალისწინებს ადგილობრივ კონტექსტს, თემის სპეციფიკასა და სკოლის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში რამდენიმე ასპექტი მიუთითებს იმაზე, რომ გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კერძოდ, კურიკულუმი აღწერილია, როგორც დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს გზას, რომელსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის. ის, ასევე, ასახავს სკოლის ტრადიციებსა და

პრიორიტეტებს. დოკუმენტი ხაზს უსვამს იმასაც, რომ კურიკულუმი წარმატებით ინერგება მაშინ, როცა მის შინაარსს იზიარებენ და მის განვითარებაში მონაწილეობენ სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები, დირექცია და მშობლები. შეხვედრის ოქმებით დასტურდება, რომ დაწესებულება მართავს მშობელთა კრებებს, რომლებზეც განიხილება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა სასწავლო პროცესი, დისციპლინა, უსაფრთხოება და საშინაო დავალებების შესრულება. ამ შეხვედრების დროს მშობლებს საშუალება ეძლევათ, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და მიიღონ ინფორმაცია. ეს მიანიშნებს, რომ სკოლა ცდილობს მშობლებთან კომუნიკაციას.

ასევე, ისგ ჯგუფის მასალები აჩვენებს, რომ სკოლა ქმნის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფებს და ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეების საჭიროებებს. ეს ყოველივე ადასტურებს, რომ ინკლუზიური განათლება და სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების ინტერესები ასახულია სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება ხორციელდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობით. დოკუმენტი ხაზს უსვამს, რომ წარმატებული დანერგვისთვის კურიკულუმის შინაარსს უნდა იზიარებდნენ და მის განვითარებაში მონაწილეობდნენ მასწავლებლები, დირექცია და მშობლები.

კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. პედაგოგები ერთად უნდა შეთანხმდნენ შემდეგ საკითხებზე: რა თემებს, საკითხებსა და ქვესაკითხებს ასწავლიან, რა სახის დავალებებს, ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ და რა მექანიზმებით შეისწავლიან კურიკულუმის დანერგვის პროცესს. მასწავლებლები ვალდებულნი არიან, აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილონ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც მათ ჩართულობას უწყობს ხელს კურიკულუმის განვითარების პროცესში. სკოლა თავად აკონკრეტებს, რა ფორმით უნდა განხორციელდეს მშობელთა ჩართულობა.

კურიკულუმის განვითარება კომპლექსური პროცესია, რომელშიც უამრავი ადამიანი იღებს მონაწილეობას, თუმცა პასუხისმგებლობის ცენტრი კათედრის თავმჯდომარეებზე და დირექტორის მოადგილეებზე გადადის. დირექტორის მოადგილეები, კათედრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფენ სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლებას და დასამტკიცებლად მომზადებას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლაში კურიკულუმი არის გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც უზრუნველყოფს მის გამჭვირვალობას, ხელმისაწვდომობასა და ეფექტიან განხორციელებას.

კურიკულუმის დოკუმენტი სისტემატურად ეცნობა სასკოლო საზოგადოებას სამუშაო შეხვედრების და პროფესიული განვითარების ფორმატებში, სადაც ხდება მისი დეტალური განხილვა და ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება. მოსწავლეები და

მშობლები ინფორმირებულნი არიან კურიკულუმის ძირითადი მიმართულებების, მიზნებისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ, რაც ხორციელდება როგორც საინფორმაციო შეხვედრების, ასევე ციფრული საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. სკოლაში უზრუნველყოფილია კურიკულუმის ხელმისაწვდომობა სხვადასხვა ფორმით, მათ შორის სკოლის შიდა რესურსებში და საჭიროების შემთხვევაში ბეჭდური მასალის სახით. ამასთანავე, კურიკულუმის განხორციელების პროცესში მუდმივად მიმდინარეობს უკუკავშირის მიღება და გაზიარება, რაც აძლიერებს თანამშრომლობას სკოლასა და საზოგადოებას შორის. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა, 2025-2026 სასწ.წელი;
- მშობელთა კრების ოქმი;
- ისგ ჯგუფის ოქმი;
- კათედრის შემაჯამებელი ოქმები;
- პირველი სემესტრის პედსაბჭოს შემაჯამებელი ოქმი.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ - იაკობ ტრიპოლსკის სახელობის დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის N1 საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმაში ვკითხულობთ: „სწავლა ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენას, მათ ინტელექტუალურ განვითარებას.“ საბუნებიმეტყველო კათედრის მიერ შემუშავებული შესაბამისი საგნის კურიკულუმი/ები შესბამისობაშია მე-3 თაობის ეროვნულ სასწავლო

	გეგმასთან. წარმოდგენილი დავალებები შემოქმედებითი ბუნებისაა, მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. მოცემული დავალებების შესრულება სწავლის პროცესს განიხილავს როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესს, რომელიც თავად მოსწავლემ უნდა აწარმოოს და აქცევს მას სასწავლო პროცესის სუბიექტად. შედეგად, შემუშავებული კურიკულუმი შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზად. **2.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების პროგრამების მიხედვით. სათანადოდაა გაწერილი ცნებები, თემა, საკითხი და ა.შ. კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ ორივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა) შემუშვებული კურიკულუმები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ ,რომ სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია გძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურების და მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ე.ს.გ. მიხედვით). სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმით განსაზღვრული დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები არის მრავალფეროვანი და ინტერაქტიული, რაც ხელს უწყობს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და გასაუბრების დროს კათედრის წევრების მიერ მაგალითად მოყვანილი შემოქმედებითი დავალებებზე მუშაობის ეტაპების აღწერა გვაძლევს საშუალებას ვთქვათ

	რომ ნებისმიერ მოსწავლეს აქვს საშუალება მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობი და მოახდინოს თვითრეალიზება. **რჩევა** სასურველია, კურიკულუმში გაწერილი იყოს ყველა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც მოსწავლეები სასწავლო წლის განმავლობაში შექმნიან (გასაუბრების დროს მოყვანილი იყო უამრავი მაგალითი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს.

მათემატიკა	მათემატიკაში, სამივე საფეხურზე, შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. მათში შეტანილი სასწავლო თემები, ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მათ საჭიროებებს.
სპორტი	შემუშავებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმი ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას და აჩვენებს ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობას მოსწავლის სრულყოფილი განვითარებისათვის. თემებში გაწერილი სპორტის სახეობები ითვალისწინებს საგანმანათლებლო ამოცანების შესრულებას. საკითხებში ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება, შემოქმედებითი დავალებები ორენტირებულია სამიზნე ცნებებზე და მოიცავს ისეთ პრაქტიკულ დავალებებს, როგორიცაა სპორტული ფესტივალი, მხიარული თამაშები, პროექტების პრეზენტაცია, ნახატების, კედლის გაზეთის, ბუკლეტების მომზადება, კურიკულუმი ითვალისწინებს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკულ ცოდნის შეძენა, რაც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლებას პროცესს ხდის უფრო ეფექტიანს. **რჩევა: სასურველია, დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში უფრო ფართოდ დაიგეგმოს ისეთი შემოქმედებითი და პრაქტიკული აქტივობები, როგორიცაა სპორტული ფესტივალების ორგანიზება. რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, პრაქტიკაში გამოიყენონ მიღებული ცოდნა და უნარები, გამოავლინონ საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობები, იმუშაონ გუნდურად და განივითარონ სოციალური უნარები. სპორტული ფესტივალები ასევე ზრდის მოტივაციას, აყალიბებს პოზიტიურ დამოკიდებულებას ფიზიკური აქტივობის მიმართ და ქმნის მხარდამჭერ, ინკლუზიურ სასწავლო გარემოს.** **ასევე კურიკულუმის შემდგომი დახვეწისთვის სასურველია, სამივე საფეხურზე იყოს სტრუქტურულად გამართული, თანმიმდევრული კურიკულუმები, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის პროგრესის სისტემურ მხარდაჭერას.**

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ტექნოლოგიები	სკოლის მიზანია სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტურ (მთლიანობით) განვითარებაზე, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ცოდნის გადაცემას, არამედ სხვადასხვა უნარის ჩამოყალიბებას. კათედრის ოქმის მიხედვით, კურიკულუმები შეიქმნა საგნობრივი თემების, ქვესაკითხების, სამიზნე ცნებების, მოსწავლეთა შედეგებისა და შეფასების ინსტრუმენტების დეტალური ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული პროცესი მოიცავდა კათედრის ყველა წევრის აქტიურ ჩართულობას და ემყარებოდა ეროვნული გეგმით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მნიშვნელოვანია მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავება და იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც გავლენას ახდენენ მის სწავლაზე. მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით, რაც საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესი მოერგოს თითოეული მოსწავლის საჭიროებებს. კურიკულუმი არ არის სტატიკური; ის მუდმივად გადაისინჯება და იხვეწება მასწავლებლების პრაქტიკის რეფლექსიის, კათედრის ანგარიშებისა და თვითშეფასების საფუძველზე, რათა უკეთ უპასუხოს სასწავლო გამოწვევებს. საგნობრივ კურიკულუმებში დაგეგმილია შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც მოსწავლეს საშუალებას აძლევს შემოქმედებითად გამოიყენოს მიღებული ცოდნა რეალურ კონტექსტში. **რჩევა:** • სასურველია, ქვესაკითხები/სამიზნე ცნებები უფრო დეტალურად ჩაიშალოს შესაბამისი შემოქმედებითი დავალებებით **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მოსწავლეთა საჭიროებებს და ემსახურება მათ განვითარებას; მე-3 და მე-4 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში თემები არასწორადაა მითითებული. თემების სვეტში წერია ამ თემის საკითხები. ქართულში კი ქუდის სტრუქტურა, სვეტების რაოდენობა და დასახელებები განსხვავებულია. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმის შედგენისას კათედრის წევრებმა ითანამშრომლონ ერთმანეთთან და იხელმძღვანელონ ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული თემების ჩამონათვალით და ამ თემებს მიუსადაგოს შესაბამისი საკითხების ჯგუფი, რაც უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტულ სწავლებას და საკითხთა შორის კავშირის დამყარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დოკუმენტაციაში ასახული საბუნებისმეტყველო საგნის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. წარმოდგენილი შემოქმედებითი ბუნების დავალებების შესრულებისას მოსწავლე უწევს ბუკლეტის, პოსტერისა და მოდელის დამზადება, კვლევის წარმოება, პრეზენტაციის, სტატიისა და მინი ლექციის მომზადება, გამოთვლის ალგორითმის ჩვენება, სქემის შექმნა. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალში კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო მიზნების მისაღწევად სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იმუშავებენ არაფარმოლური განათლების კუთხით. ყოველივე ეს არის წინა პირობა და ხელის შემწყობი ფაქტორი გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარის) განვითარების. **2.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი ეფუძნება გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში შემოქმედებითი პროდუქტის იდეები წარმოდგენილია იმდაგვარად, რომ აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას. კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, განსაზღვრულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები, რასაც უშუალოდ უკავშირდება შემოქმედებითი პროდუქტი. მათი განხორციელების პროცესში დაგეგმილია ისეთი აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებისთვის. ცალკეული კურიკულუმების ფარგლებში, სკოლას მიეცა რჩევა, მეტად დაკონკრეტდეს შემოქმედებითი დავალების პირობა, რაც ხელს შეუწყობს მის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და ცნებებთან შესაბამისობის მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ ორივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა) თავდაპირველად წარმოდგენილი კურიკულუმები არ შეესამებოდა კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს ესგ-ში მოცემულ ყველა თემატური ბლოკების და თემების დაფარვას (სკოლის მიერ წარდგენილ კურიკულუმებში გრაფაში „თემა“ მითითებული იყო სახელმძვანელოში მოცემული თავების დასახელებები; აგრეთვე კურიკულუმებში მოცემული შემოქმედებითი ტიპის დავალებები არ ფარავდა ყველა სამიზნე ცნებას. ონლაინ შეხვედრის დროს მასწავლებლებს მიეცა მითითება და შენიშვნა ამის შესახებ. ვიზიტის დროს გამოგზავნილ კურიკულუმების ბოლო ვერსიაში უცხოური ენის მასწავლებლებს გათვალისწინებული აქვთ გასაუბრების დროს მიღებული შენიშვნები და კურიკულუმებში შეტანილი აქვთ ცვლილებები თუმცა არის უზუსტობა, კერძოდ: ინგლისური ენის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სვეტში „თემა“ უმეტეს შემთხვევაში

	მითითებული აქვთ თემატური ბლოკის დასახელება და არ არის მითითებული კონკრეტულად ის თემა რომელსაც გადიან; ინგლისური ენის საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში სვეტში „თემა“ მითითებული აქვთ ე.ს.გ-დან თემატურ ჩარჩოში მოცემული მხოლოდ „პარამეტრები“ და არ არის მითითებული არც აქტივობის სფეროები და არც კონკრეტულად ის თემა რომელსაც გადიან. რაც შეეხება რუსული ენის კურიკულუმებს იქ აკლია მხოლოდ კონკრეტული თემის დასახელება. **რჩევა:** კურიკულუმების შედგენის დროს უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებმა პირველ რიგში იხელმძღვანელონ ესგ-ის ბოლო ვერსიით და ზუსტად გადაიტანონ ესგ-დან კურიკულუმში თემების და ცნებების დასახელება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებული**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის სამივე საფეხურის კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე საგნობრივ სტანდარტებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების მიხედვით. კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი მოიცავს ისეთ დავალებებს და აქტივობებს,მაგალითად, სასწავლო პროექტები, კომპლექსური ტიპის დავალებები და ა.შ. , რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ჩაერთონ კომუნიკაციაში, იაზროვნონ კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას გამოიჩინონ შემოქმედებითობა, გამოავლინონ თანამშრომლობის, პრობლემის გადაჭრის უნარები, გუნდურობა, შეძლონ რეფლექსიის გაკეთება და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს მათი ხასიათის და პიროვნების ჩამოყალიბებას.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვითი დასტურდება, რომ რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე, სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე.

	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი(თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, სათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებით.
მათემატიკა	მათემატიკაში, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემათება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. გასაუბრებისას ასევე გამოიკვთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას. რჩევა: სასურველია, მასწავლებლებმა შეავსონ კურიკულუმის ყველა სვეტი, მათ გამოთქვეს მზაობა, რომ ყველა კლასში, ყველა თემის ფარგლეში დაგეგმავენ და ჩააშენებენ შემოქმედებითი ტიპის დავალებებს.
სპორტი	წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმში დაწყებით საფეხურზე გაწერილია ისეთი სპორტის სახეობა ტანვარჯიში, რომლის სრულყოფილი განხორციელებისთვის სკოლაში შესაბამისი სპორტული რესურსი ხელმისაწვდომი არ არის. რის გამოც ხდება ამ თემის საკითხების ნაწილობრივი შესწავლა. **რჩევა: სასურველია, კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებული იყოს სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა. ან სკოლის მიერ მოხდეს ტანვარჯიშის სპორტული ინფრასტრუქტურის შეძენა სრულყოფილი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმის თითოეული ერთეული აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებზე, რომლებიც ყველა კლასისთვის (II-VI) საერთოა. ერთი

	და იგივე სამიზნე ცნება (მაგ. „ალგორითმი“) მეორდება ყოველ მომდევნო კლასში უფრო რთული და ღრმა შინაარსით. შემოქმედებითი დავალებები, როგორც სწავლების საფუძველი ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი მოთხოვნა — კონსტრუქტივისტული პრინციპებით სწავლება — კურიკულუმებში რეალიზებულია შემოქმედებითი დავალებების მეშვეობით მოსწავლეები ქმნიან პროდუქტებს: პირობითი ნიშნები, ანიმაციები, პრეზენტაციები, პროექტები. შეფასება ხდება არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლია მოსწავლეს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრა იყენებს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას კურიკულუმის დაგეგმვისას და ის, ესგ-ს შესაბამისად, მიემართება საგნების სამიზნე ცნებებს; გააზრებისთვის განსაზღვრულია სავალდებულო თემების დამუშავება, შესაბამისი საკითხებით, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებებით, გამოსაყენებელი ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსებით. აშკარად იკვეთება მზაობა სტანდარტის შედეგების მიღწევის. შედგენილი დავალებები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად ააგოს ახალი ცოდნა, გამოიმუშავოს საჭირო უნარ-ჩვევები. ინტერვიუში მასწავლებლებმა აღწერეს შემოქმედებით დავალებებზე მუშაობის პროცესი და ეტაპები. შემოქმედებითი დავალებების დაგეგმვისას ითვალისწინებს სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, შეფასების კრიტერიუმებიც მათთან კორელაციაშია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ავტორიზაციის დოკუმენტებში ასახული საბუნებისმეტყველო საგნის კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი არის წინაპირობა იმისა, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ ცოდნა, უნარები და დმოკიდებულებები. სწავლის სხვადასახვა სტრატეგიის გამოყენება კი სწავლეს უფრო ეფექტურს და საინტერესოს ხდის. ჯამში, მიზნობრივად შერჩეული რესურსები უზრუნველყოფილს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმის ჩარჩო - ცხილებში თითოეულ სასწავლო თემას მითითებული აქვს შესაბამისი სასწავლო რესურსი. სასწავლო რესურსებში მოცემულია გრიფირებულ სახელმძღვანელოდან საკითხები და დამატებითი წყაროები. მოცემული სასწავლო რესურსები უშუალო კავშირშია სამიზნე ცნებებთან, მის მკვიდრ წარმოდგენებთან და საგნოგრივ საკითხებთან, რომლებიც უნდა იქნას გააზრებული სწავლა-სწავლების პროცესში და უზრუნველყოს სწავლის შედეგები. სკოლას მიეცა **რჩევა,** ზოგიერთ საგანში კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს რესურსები.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ ორივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა) შემუშვებული კურიკულუმები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. ეს რესურსებია: პირველ რიგში, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებით სასწავლო რესურსებად კურიკულუმში მრავლად არის ე.წ. „ლინკები“ (ელ. რესურსების მისამართები) რომლების მორგებულია სასწავლო თემებს. სკოლას აქვს

	საკმარისი მატერიალური ბაზა (კომპიუტერები, პროექტორები და ა.შ) რომ ეს ელექტრონული რესურსები გამოიყენონ გაკვეთილზე. **რჩევა** მასწავლებლებმა მუდმივად ამოწმონ კურიკულუმებში მოცემული ე.წ. „ლინკები“ რადგან ზოგი ლინკი არ იხსნება ან ლინკზე გახსნილი რესურსის თემა არ შეესაბამება კურიკულუმში დაწერილ თემას. სასურველია, მასწავლებელმა მისთვის საჭირო ელ.რესურსი ჩამოტვირთოს და შეინახოს საკუთარ იუთუბარხზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ესთეტიკური აღზრდის კათედრის კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად.

მათემატიკა	კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლები იყენებენ არა მხოლოდ სახელმძღვანელოს, არამედ ელექტრონულ რესურსებს, ვიდეო გაკვეთილებს, რაც მოსწავლეებს ეხმარებათ მათემატიკის უფრო მარტივად და სახალისოდ შესწავლაში. ასევე კათედრაზე იყენებენ მასწავლებლები მათ მიერ შექმნილ რესურსებს, რომელიც გასაუბრების დროს წარმოადგინეს.
სპორტი	შემუშავებული ფიზიკური აღზრდის და სპორტის კურიკულუმში ჩაშენებულია რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეების ეფექტურ ჩართულობას სპორტულ აქტივობებში და კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას. კურიკულუმში გათვალისწინებულია როგორც ფიზიკური რესურსები – სპორტული მოედნები, დარბაზები, ინვენტარი, ბურთები, ბადეები, ატრიბუტიკა, ასევე **საგანმანათლებლო რესურსები**, როგორიცაა მეთოდიკური სახელმძღვანელოები, ვიდეო მასალა, ონლაინ პლატფორმები და ინსტრუქციული განლაგებები, რომლებიც თანმიმდევრულად ასწავლიან ტექნიკასა და წესებს.რესურსების მიწოდება საშუალებას აძლევს მოსწავლეებს პრაქტიკულად დახვეწონ ფიზიკური უნარები, გაიმყარონ გუნდური მუშაობის გამოცდილება და დაინერგონ აქტიური ცხოვრების ჩვევები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსების ერთობლიობა პირდაპირ არის მიმართული იქითკენ, რომ მოსწავლემ მიაღწიოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. რესურსების შერჩევა ხდება არა შემთხვევით, არამედ კონკრეტული საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად:

	მრავალფეროვანი ციფრული ინსტრუმენტები -კურიკულუმში გამოყენებულია მრავალფეროვანი პლატფორმები, რომლებიც მორგებულია მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებსა და სამიზნე ცნებებს: ვიზუალური პროგრამირება: Scratch და Code.org საშუალებას აძლევს მოსწავლეს პრაქტიკულად გაიაზროს ალგორითმები და პროგრამული კოდი. შემოქმედებითი ინსტრუმენტები: Paint 3D და MS PowerPoint გამოიყენება ციფრული პროდუქტების შესაქმნელად, რაც ავითარებს შემოქმედებითობასა და ტექნიკურ უნარებს. სასწავლო პორტალები: გამოყენებულია school.emis.ge-ს რესურსები, რომლებიც სპეციალურად ქართული საგანმანათლებლო კონტექსტისთვისაა შექმნილი. მასწავლებლის მიერ მომზადებული ავთენტური რესურსები, რომ მასწავლებელი თავად ქმნის დამხმარე მასალებს, რაც უზრუნველყოფს რესურსის ზუსტ შესაბამისობას კონკრეტული კლასის საჭიროებებთან. ინტერნეტ-რესურსების გამოყენებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ციფრულ მოქალაქეობას. რესურსები შერჩეულია ისე, რომ მოსწავლემ ისწავლოს ინფორმაციის კრიტიკული შეფასება, სანდო წყაროების გარჩევა და საავტორო უფლებების დაცვა, რაც ესგ-ს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივ კურიკულუმებში ძირითად საგანმანათლებლო რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე სხვადასხვა ინტერნეტ რესურსები, კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; გარდა ძირითადი სასწავლო რესურსისა

	(გრიფირებული სახელმძღვანელოები), მასწავლებლები იყენებენ დამატებით საგანმანათლებლო რესურსებს: ასევე, ელექტრონულ რესურსებს, ბმულების სახით, რომელთა გამოყენება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.პლაკატებს, წიგნებს, ელექტრონულ რესურსებს, რომლებიც ვალიდირებულია კათედრის მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის კათედრის დებულებაში (პუნქტი 4.3. შეფასების ღონისძიებების დაგეგმვა) ვკითხულობთ: „პედაგოგები შეიმუშავებენ მოსწავლეთა შეფასების რუბრიკებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით; მოსწავლეთა სწავლის სხვადასხვა შესაძლებლობების გათვალისწინებით მუშაობს დიფერენცირებული მოდგომებით.“ სასკოლო სასწავლო გეგმაში (საკითხი: „მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა“) განმარტებულია, რომ შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ. სკოლას შემუშავებული აქვს: • ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში რემედიაციის პროგრამის დებულება; • საბუნებისმეტყველო საგნებში ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვას, რაც გულისხმობს გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის

	ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. ეს ნათლად ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილ შემოქმედებით პროდუქტის იდეებსა და მათი განხორციელების პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე ორივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა) გათვალისწინებულია ინკუზიური სწავლების პრინციპები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციია (ინდივიდუალური სასწავლო გეგმები) და ინტერვიუს დროს მიღებული პასუხები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ უცხოური ენების კათედრის მასწავლებლები მოსწავლეებს განიხილავან სასწავლო პროცესის აქტიურ სუბიექტებად და გააზრებული აქვთ რომ მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა. ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფს განათლების ხელმისაწვდომობას ყველა შესაძლებლობის მოსწავლისთვის. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა მოიყვანეს მაგალითები თუ როგორ აძლევენ სხვადასხვა აკადემიური მოსწრების და შესაძლებლობების მოსწავლეებს დიფერენცირებულ დავალებებს. სამწუხაროდ, მსგავსი დავალებების არსებობა დოკუმენტალურად არ დადასტურდა. **რჩევა** საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული დავალებები მატერიალური სახით შეინახონ და ამითი კათედრაზე შეიქმნება ე.წ. დავალებების ბანკი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. დოკუმენტებში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისათვის დაწყებით და საბაზო საფეხურზე, სადაც ასახულია, რომ სასწავლო პროცესი იწყება მოსწავლის

	საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. დოკუმენტებში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისათვის. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას. რჩევა: სასურველია, შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, კომპლექსური ბუნების დავალებების პირობების შექმნისას, მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები. ასევე რემედიაციის მიდგომების განხორციელება სასწავლო საგაკვეთილო სივრცეში.
მათემატიკა	კათედრის წევრებთან ინტერვიუმ ცხადი გახადა, რომ ისინი იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. ამას ადასტურებს ის აქტივობები, რომლებსაც ახორციელებენ ისინი სასწავლო პროცესის დროს. მოსწავლეებს აქვთ უფლება თავიანთი სურვილზე და შესაძლებლობებზე დაყრდნობით აირჩიონ ესა თუ ის აქტივობა და დავალების წარდგენის ფორმატი ეს იქნება ციფრულად თუ მატერიალურად ,რაც ასევე ზრდის მათ მოტივაციას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო ხდება პირობის გართულება და პირიქით, ასევე მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ დავალება წარმოედგინათ სხვადასხვა ფორმით, ფორმატზე, ელექტრონულად, ნახატებით, მაკეტით.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	შემუშავებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმი ეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას და მათ თანაბარ შესაძლებლობებს. კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები, ფიზიკური მომზადების დონე, ინტერესები და საჭიროებები, რაც საშუალებას აძლევს თითოეულ მოსწავლეს უსაფრთხო და მოტივაციურ გარემოში ჩაერთოს სპორტულ აქტივობებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	**„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“** და **საკლასო კურიკულუმების** ანალიზი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს. ეს გამოიხატება შემდეგ ძირითად ასპექტებში: მეთოდოლოგიურ დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ხდება მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირება. მასწავლებელი ვალდებულია შეისწავლოს მოსწავლის ინდივიდუალური მახასიათებლები და ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მის სწავლაზე. კურიკულუმებში (II-VI კლასები) შემოქმედებითი დავალებები დაგეგმილია ისე, რომ მათში ჩართვა შეძლოს სხვადასხვა მზაობისა და ინტერესის მქონე მოსწავლემ: • **ვიზუალური და პრაქტიკული სწავლება:** გამოიყენება ისეთი ინსტრუმენტები (Scratch, Paint 3D), რომლებიც ხელს უწყობს მასალის ვიზუალიზაციას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განსხვავებული საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის. • **ეტაპობრივი მხარდაჭერა:** დავალებები დაყოფილია ნაბიჯებად, რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს, თითოეულ მოსწავლეს შესთავაზოს მისთვის საჭირო დონის დახმარება.

	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და ინსტრუმენტები (მაგალითად, „განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება ისტ“) იძლევა დიფერენცირების საშუალებას: • **განმავითარებელი კომენტარები, თვითშეფასების ბარათები** ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი სასწავლო პროცესის რეფლექსიაში, რაც ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. კურიკულუმში მითითებული რესურსები (ვიდეო გაკვეთილები, ელექტრონული თამაშები, მასწავლებლის მიერ შექმნილი დამხმარე მასალები) მრავალფეროვანია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეს, რომელსაც უჭირს ტექსტური ინფორმაციის გაგება, შეუძლია გამოიყენოს ვიზუალური ან ინტერაქტიული რესურსი. ასახული მიდგომები უზრუნველყოფს, რომ არცერთი მოსწავლე არ დარჩეს სასწავლო პროცესს მიღმა და თითოეულ მათგანს ჰქონდეს შესაძლებლობა, მიაღწიოს წარმატებას საკუთარი ტემპითა და შესაძლებლობებით. **რჩევა:** **კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი პრაქტიკულად უზრუნველყოფს ინკლუზიურ სასწავლო გარემოს და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, თუმცა საჭიროა ამ მიმართულებების უფრო მკაფიო და სტრუქტურულად დოკუმენტში ასახვა** — მათ შორის დავალებების, შეფასებისა და მეთოდური მითითებების დონეზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ ისეთ რესურსებს და მეთოდებს, რომლებიც მათ ეხმარებათ სწავლის პროცესი იყოს ინკლუზიური, დიფერენცირებისათვის იყენებენ დიფერენცირების ინსტრუმენტს-ქვიზებს, სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია (დანართი N1) სხვადასხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები: • საკლასო სამუშაოს/საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის რუბრიკა; • პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა; • წყვილებში მუშაობის შეფასების რუბრიკა; • ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა; • დისკუსიის შეფასების რუბრიკა და ა.შ. პირველი კლასის კურიკულუმში ასახულია განმავითარებელი კომენტარი მასწავლებლისთვის. კონკრეტულად: „რა გამოუვიდა მოსწავლეს კარგად; რაზე შეუძლია კიდევ იმუშაოს; როგორ გააუმჯობესოს ნამუშევარი შემდეგში“. მე-4 კლსის ბუნების საგანში კი განხორციელებულ შემოქმდებით დავალებას თან ერთვის მოსწვლის თვითშეფასების რუბრიკაც. ავტორიცზაციის დოკუმენტებში წარმოდგენილი გნმავითარებელი და განმსაზვრელი შეფასების რუბრიკები ცალსახად გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრას აქვს სხვადასხვა ტიპის დავალების შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. შეფასების კრიტერიუმები მორგებულია ცნებებსა და კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტის იდეას. კათედრაზე ეფექტურად იყენებენ, როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს (დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება), რომელზეც დაკვირვებას აწარმოებენ მასწავლებლები მოსწავლეზე მონაცემთა მოგროვების მიზნით, რათა შეძლოს დასახული ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრას სამივე საფეხურზე ორივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა) წარმოდგენილი აქვს მათ მიერ შუმუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც შეესაბამება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებს და საშუალებას იძლევა, ობიექტურად შეფასდეს მოსწავლეთა შედეგები. ინტერვიუს დროს დასმულ კითხვაზე თუ რით იხელმძღვანელებენ კონკრეტული დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკების და კრიტერიუმების შექმნის დროს, მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ გაითვალისწინებენ პირველ რიგში კონკრეტული დავალების ხასიათს თუ რას ამოწმებს ეს დავალება და კიდევ იხელმძღვანელებენ ესგ-ში საგნის სტანდარტში მოცემულ ე.წ. შედეგ-ინდიკატორებით.
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის. შემოქმედებითი დავალებისთვის წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა სოლო ტაქსონომიის მიხედვით. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი.
სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც

	ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის (მაგ.:ესეს შეფასების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, დისკუსიის და სხვა). კომპლექსური ბუნების დავალებისთვის წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. **რჩევა:** სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან/ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი (კომპლექსური/კომპლექსური ბუნების დავალებები ან/და სასწავლო პროექტები), აგრეთვე ყველა თემის ფარგლებში სრულად მომზადდეს ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
მათემატიკა	მათემატიკაში სამივე საფეხურზე სკოლა ახორციელებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც შესაძლებობას აძლევს მასწავლებლებს, გამოკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და ინტერესი. **რჩევა: სასურველია, მასწავლებლებმა შეიმუშაონ სამივე საფეხურისთვის ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებებისთვს.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მთლიანობაში შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. იგი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფიზიკური, სოციალური და კოგნიტური კომპეტენციების კომპლექსურ შეფასებას, ხელს უწყობს პროგრესზე ორიენტირებულ სწავლებას და საშუალებას აძლევს მასწავლებელს ეფექტურად დაარეგულიროს სასწავლო პროცესი,

	ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, უმეტესწილად იყენებენ ზეპირ უკუკავშირებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკაზე დაყრდნობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე (კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები და მეთოდოლოგია) დასტურდება, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ესგ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **შეფასების კრიტერიუმები პირდაპირ გამომდინარეობს სამიზნე ცნებებიდან**: • **ციფრული მოქალაქეობა:** ფასდება ეთიკის ნორმების დაცვა და უსაფრთხოება. • **ინფორმაციული წიგნიერება:** ფასდება წყაროების კრიტიკული ანალიზი და სანდოობის შემოწმება. • **პროგრამული კოდი:** ფასდება ალგორითმული აზროვნება და პროგრამული ინსტრუმენტების (Scratch) გამოყენება. **განმავითარებელი შეფასება** • გამოიყენება **ინდივიდუალური განმავითარებელი კომენტარები**, რომლებიც ორიენტირებულია იმაზე, თუ რას აკეთებს მოსწავლე კარგად და რა უნდა გააუმჯობესოს (მაგ. IV-VI კლასების კომენტარების ნიმუშები). • დანერგილია **თვითშეფასების ბარათები**, რაც ეხმარება მოსწავლეს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებასა და საკუთარი სწავლის პროცესის მართვაში. შეფასების რუბრიკები აგებულია ცოდნის გაღრმავების დონეების მიხედვით. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში ხაზგასმულია, რომ შეფასება ეფუძნება მრავალფეროვან და სანდო მონაცემებს. რუბრიკების არსებობა წინასწარ განსაზღვრავს მოლოდინებს, რაც პროცესს ხდის გამჭვირვალეს როგორც მოსწავლისთვის, ისე მშობლისთვის.

	რჩევა: **შეიქმნას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას ყველა საგანში წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების რუბრიკები. რუბრიკები საშუალებას იძლევა შეფასდეს გრძელვადიანი მიზნის მიღწევა. რუბრიკები არის როგორც ზოგადი ხასიათის, ასევე კონკრეტული, მორგებულია საკითხს, მიემართება შუალედურ მიზანს. გასაუბრებაზე ასევე ითქვა, რომ საგაკვეთილო პროცესში იყენებენ აქტივობათა შეფასების ვერბალურ ხერხს, ასევე მოსწავლეთა ურთიერთშეფასებას და თვითშეფასების მოდელს. **ინდიკატორი დადასტურებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- შემოქმედებითი დავალებები, შემაჯამებელი დავალებები(შეფასების რუბრიკებით);
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- განმსაზღველი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- პედსაბჭოს ოქმი კურიკულუმების შემუშავებაზე;
- კათედრის ოქმები;
- ინტერვიუები პედაგოგებთან;
- სკოლის სასწავლო გეგმა;

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები;
- მოდიფიცირებული დავალების ნიმუში;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ინკლუზიური / დიფერენცირებული მიდგომების ამსახველი დავალებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ - იაკობ ტრიპოლსკის სახელობის დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. აღნიშნული დოკუმენტის II თავის („ხარისხის უზრუნველყოფის წესი“) მე-6 მუხლის პირველი პუნქტი შედგება შემდეგი ქვეპროცესებისაგან: ა) სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება; ბ) პროცესების/კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა; გ) შემოწმების განხორციელება; დ) დასკვნის შედგენა და უკუკავშირი; ე) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება. სწორედ ეს ქვეპროცესებია ძირითადი ორიენტირია იმისა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. 2.2.1.1. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ განსახილველად გამოგზავნილი კურიკულუმები შემუშავებულია 2025-2026 წლის სასწავლო წლისთვის. გასაუბრებისას პედაგოგებმა ისაუბრეს კურიკულუმის რეალურ სასწავლო პროცესში განხორციელებასთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესში საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალი საგნების კურიკულუმებში საკითხებად და საკითხთა კლასტერებად გაწერილია ისეთი საკითხები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ თემას, ცნებებსა და მიზნებს. ის ხელს უწყობს მოსწავლემ მიიღოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნით გათვალისწინებული განათლება. მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით დავალებას, რაც მათ მრავალი უნარის განვითარების შესაძლებლობას აძლევს. სკოლას მიეცა **რჩევა,** ზოგიერთი საგნისა და კლასების კურიკულუმებში უფრო დეტალურად გაიწეროს დავალებების იდეები. თუმცა, გასაუბრებისას მოხდა ამ დავალებების კონკრეტიზაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

უცხოური ენები	ინტერვიუს დროს მიღებული პასუხებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე ორივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა) დაგეგმილია და მიმდინარეობს შედგენილი კურიკულუმების მიხედვით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმები მუდმივად განიცდიან მოდერნიზაციას (ცვლილებას) ეს დაკავშირებულია სასწავლო პროცესში გამოჩენილი ან სურთულეების გამო ან რამე სიახლეების დანერგვის გამო და ა.შ. ინტერვიუს დროს შესრულებული დავალების აღწერით მასწავლებლების მიერ დამტკიცდა, რომ კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების ჭრილში. **რჩევა:** სასურველია, დაგეგმილ პროცესში,თემის/საკითხის ფარგლებში იგეგმებოდეს მრავალფეროვანი აქტივობები. მნიშვნელოვანია კათედრის გააქტიურება არაფორმალური განათლების მიმართულებით. დაიგეგმოს სასწავლო პროექტები, თუ სხვადასხვა ღონისძიებები.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან, თვითშეფასების ანაგრიშიდან და სკოლის მიერ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმები მოიცავს ეროვნული გეგმის

	მოთხოვნებზე მორგებულ თემატურ ერთეულებს, შუალედურ მიზნებს, აქტივობებს და დიფერენცირებულ დავალებებს. კურიკულუმში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები, ინტეგრირებული თემები პრაქტიკაში ხორციელდება, რაც დასტურდება გაკვეთილის გეგმებით, შეფასების რუბრიკებით და მასწავლებელთა რეფლექსიით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა დაასახელეს კონკრეტული მაგალითები, რომლებიც კურიკულუმთან შესაბამისობას ადასტურებს.
მათემატიკა	მათემატიკაში დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. კომპლექსური ბუნების დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს პრობლემების გადაჭრის გზების ძიება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა, რაც ეხმარება მათ ცოდნის კონსტრუირებაში და მიღებული ცოდნის ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებაში. **რჩევა:** სასურველია, მასწავლებლებმა განახორციელონ რევიზია და ცვლილებები შეიტანონ კურიკულუმში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმში დაწყებით საფეხურზე გაწერილია ისეთი სპორტის სახეობა ტანვარჯიში რომლის სრულყოფილი განხორციელებისთვის სკოლაში შესაბამისი სპორტული რესურსი ხელმისაწვდომი არ არის. რის გამოც ხდება ამ თემის საკითხების ნაწილობრივი შესწავლა. **რჩევა: სასურველია, კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებული იყოს სკოლის**

	სპორტული ინფრასტრუქტურა. ან სკოლის მიერ მოხდეს ტანვარჯიშის სპორტული ინფრასტრუქტურის შეძენა სრულყოფილი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესის შესაბამისობა სასკოლო კურიკულუმთან დასტურდება სწავლება ეფუძნება კურიკულუმში გაწერილ თემებს (პროგრამირება, ინტერნეტი, აპარატურა....) და კონკრეტულ საგნობრივ სტანდარტებს. სასწავლო პროცესი აგებულია კურიკულუმით გათვალისწინებულ პრაქტიკულ პროექტებზე (მაგ. Scratch-ანიმაციები, პოსტერების შექმნა და ა.შ.), რაც თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას უზრუნველყოფს. გაკვეთილებზე გამოიყენება ზუსტად ის ციფრული და მეთოდური რესურსები (Code.org, სპეციალური ბმულები), რომლებიც კურიკულუმის სარეკომენდაციო ნაწილშია მითითებული. სწავლის პროცესში გამოიყენება არსებული რუბრიკები და თვითშეფასების ფორმები, რაც საშუალებას იძლევა გაკონტროლდეს, რამდენად მიაღწია მოსწავლემ დაგეგმილ შედეგს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც წარმოდგენილი აქვთ. წლის დასაწყისში და ბოლოს ხდება კათედრის შეხვედრა და კურიკულუმების განხილვა. ასევე წარმოდგენილი აქვთ კათედრის ოქმები, დამრიგებლის ანგარიში, კათედრის ხელმძღვანელის ანგარიში, ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლითაც დასტურდება სასწავლო პროცესის წარმართვა კურიკულუმის შესაბამისად.

	მასწავლებლებმა ოთხივე საგანში ნათლად ისაუბრეს შემოქმედებითი დავალებების განხორციელების ეტაპებზე, აქტივობებსა და შედეგებზე. ასევე პრობლემურ საკითხებზე. **რჩევა:** სკოლას მიეცა რჩევა სასწავლო წლის დასასრულს განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით. **ინდიკატორი დადასტურებულია**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სსიპ - იაკობ ტრიპოლსკის სახელობის დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის №1 საჯარო სკოლა ეფექტიანად რეაგირებს წარმოქმნილ და შემხვედრ საჭიროებებზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ხარისხის შენარჩუნებას. სკოლაში დანერგილია საჭიროებების დროული იდენტიფიცირების მექანიზმები, მათ შორის რეგულარული მონიტორინგი, პედაგოგთა დაკვირვება, მოსწავლეთა შეფასების შედეგების ანალიზი და სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირი. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე ადმინისტრაცია და შესაბამისი სამუშაო ჯგუფები ოპერატიულად იღებენ გადაწყვეტილებებს და ახორციელებენ შესაბამის ცვლილებებს სასწავლო პროცესში. მოქნილი რეაგირება გამოიხატება როგორც სწავლა-სწავლების სტრატეგიების ადაპტირებაში, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების, ინდივიდუალური მხარდაჭერისა და გამდიდრებული აქტივობების შეთავაზებაში. საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო გეგმის, განრიგისა და აქტივობების მოდიფიცირებაც. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს, რომ სკოლა იყოს ადაპტირებადი, მოსწავლეზე ორიენტირებული და ეფექტიანად პასუხობდეს როგორც ინდივიდუალურ, ისე საერთო სასკოლო საჭიროებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრის დებულებაში მიმართულება - „კათედრების სამუშაო გეგმა მიზანი, ამოცანები, სტანდარტი“ ჩამონათვალში გაწერილია შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შემუშავება. დოკუმენტაციაში სკოლას წარმადგენლი აქვს ქიმიის მე-10 და მე-11 კლსის შემაჯამებელი სამუშაოს ნიმუშები. თითოეულ მათგანში შემაჯამებელ ტესტს წინ უძღვის - საკითხთა რაოდენობა,

	თითოეული დახურული დავალების შეფასების ქულა და მაქსიმალური ჯამური ქულა. ამავე საგნის შემაჯამაბელი სამუშაოს ანალიზის ფორმაში ერთ-ერთი კომპონენტი შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემაა. ბოლოს, საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილი მრავალფეროვანი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მთავარი არსია, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **2.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასებების რუბრიკები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს. ისინი იძლევა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასებების საფუძველს. მიმართულების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებების სისტემა ერთიანია და მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ მათ. სკოლას მიეცა **რჩევა,** კიდევ უფრო გაღრმავდეს შეფასების სისტემებზე მუშაობა. ინტენსიურად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, ხელი შეუწყონ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და პროგრესის ანალიზს. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ძირითადად შეესაბამება ესგ-ს მიერ განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებსა და სამიზნე ცნებებს, შემუშავებულია გასავლელი თემების შესაბამისად. სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები და მასწავლებლების პასუხები ინტერვიუს დროს თუ როგორ აფასებენ მოსწავლეებს გვაძლევს საშუალებას დადებითად შევაფასოთ ეს ინდიკატორი.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და გასაუბრებისას მკაფიოდ გამოიკვეთა, თუ რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხორციელდება კათედრაზე მოსწავლეთა შეფასება. სკოლამ დაწყებით საფეხურზე ორივე საგანში (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)

	წამოადგინა შეფასების რუბრიკები, სადაც მკაფიოდ იკვეთება საგნობრივ სტანდარტებთან შესაბამისობა. შესაბამისად ნათლად ჩანს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა, ობიექტურობა, სამართლიანობა და გამჭირვალობა.
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად სამივე საფეხურზე შერჩეულია შეფასების პირველი მოდელი, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა მრავალკომპონენტიან შეფასებას. სკოლაში აგრეთვე არსებობს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია არსებული შეფასების სისტემის თავისებურებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. აქედან გამომდინარე დგინდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური და გამჭვირვალე. სასწავლო პროცესში სკოლა ზრუნავს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. **რჩევა:** სასურველია, შეფასების ფორმები გაიწეროს კონკრეტულ დავალებებზე.
მათემატიკა	სკოლაში შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები უზრუნველყოფს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ ყოველთვის ობიექტური უკუკავშირი მიაწოდონ მოსწავლეებს. **რჩევა:** სასურველია, მასწავლებლებმა ითანამშრომლონ ერთმანეთთან, შექმნან შეფასების რუბრიკები, სადაც გაითვალისწინებენ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს და კონკრეტული საკითხის ფარგლებში მოახდენენ საკითხის დაკონკრეტებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სპორტი	ფიზიკური აღზრდის და სპორტის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში გაწერილია როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები(გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), მოსწავლეების შეფასება ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების შეფასებით. გასაუბრებისასა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს აცნობენ თუ რა კრიტერიუმებით შეფასდება სასწავლო პროცესში თუ ფესტივალებზე მათი შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის სხდომების ოქმების, შეფასების რუბრიკების, სხვა დოკუმენტაციის გაცნობისას და მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა პირდაპირ კავშირშია მოსწავლეების მიერ დავალებებში სამიზნე ცნებების/ქვეცნებების, საკითხების სრულყოფილ და გააზრებულ ათვისებასთან. • **ვალიდურობა:** ფასდება მხოლოდ ის, რაც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით (სამიზნე ცნებები). • **გამჭვირვალობა:** მოსწავლემ წინასწარ იცის კრიტერიუმები და თავადაც მონაწილეობს შეფასებაში (თვითშეფასება).• **სანდოობა და ობიექტურობა:** შეფასება ეყრდნობა კონკრეტულ რუბრიკებსა და ფაქტობრივ ნამუშევრებს, რაც გამორიცხავს მასწავლებლის სუბიექტურობას. • **სამართლიანობა:** სისტემა ორიენტირებულია ინდივიდუალურ პროგრესზე და მოსწავლის მხარდაჭერაზე (განმავითარებელი უკუკავშირი). **რჩევა:** • დაემატოს განმავითარებელი შეფასება (შუალედური უკუკავშირი, პროცესზე დაკვირვება). • გამოყენებულ იქნას თანატოლთა შეფასება.

	• შეფასების რუბრიკები იყოს მორგებული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. • შეფასება ასახავდეს პროგრესს **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ დოკუმენტებში, განსაკუთრებით დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიანი მიზნებს. ექსპერტი მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი მონიტორინგის სისტემა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს შეფასების სისტემის ობიექტურობაში და გამჭირვალეობაში. **რჩევა:** სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი. დოკუმენტის მიხედვით, ვერიფიკაცია არის სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მიუთითებს, რომ სკოლას ესმის ვერიფიკაციის მნიშვნელობა და მიზანი. ვერიფიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, რომელზეც პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე. თუმცა, პროცესში შესაძლებელია სხვა პირებიც იყვნენ ჩართულნი. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სკოლას ჰყავს განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი და შემუშავებული აქვს პროცედურა. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ვერიფიკატორი არ უნდა იყოს პირი, რომელმაც შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტი ან მონაწილეობდა მის შემუშავებაში. ეს პრინციპი უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობას და მიუკერძოებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში მოქმედებს შეფასების დოკუმენტაციის მართვის რეგულირებული სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც ელექტრონულ, ისე მატერიალურ (ბეჭდურ) ფორმატებს. ინახება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამსახველი მონაცემები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მასალები, ტესტები, პროექტები, პორტფოლიოები და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია. აღნიშნული ინფორმაცია ორგანიზებულია სტრუქტურირებულად, დაცულია კონფიდენციალურობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპები, ხოლო ხელმისაწვდომობა განსაზღვრულია შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირებისთვის. მონაცემთა რეგულარული განახლება და არქივირება ხორციელდება დადგენილი წესების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათი სანდოობასა და უწყვეტობას. მოქმედი პრაქტიკა იძლევა შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში, სკოლამ უზრუნველყოს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების სწრაფი მოძიება, ანალიზი და გამოყენება როგორც შიდა შეფასების, ისე გარე მონიტორინგისა და ავტორიზაციის პროცესებში. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი და შემოქმედებითი დავალებების შეფასების რუბრიკები და ანალიზი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუები პედაგოგებთან.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ - იაკობ ტრიპოლსკის სახელობის დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის N1 საჯარო სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში წერია - „სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერები და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.“ სკოლას დამტკიცებული აქვს ლაბორატორიის გამოყენების წესი (დებულება). მოცემულ დებულებაში მე-7 მუხლი არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით სარგებლობის უსაფრთხოების ზოგადი წესები. სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი არსებული რესურსებით სარგებლობის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	უმეტეს შემთხვევაში კურიკულუმებში ჩანს, რომ სკოლა სასწავლო რესურსად ძირითადად იყენებს გრიფირებული სახელმძღვანელოს, თუმცა გასაუბრების პროცესში პედაგოგებმა ისაუბრეს რესურსების მრავალფეროვნებაზე და განხორციელებულ პროექტებზე, რომლებიც თავისთავად მოითხოვს რესურსების მრავალფეროვნებას. სკოლას მიეცა **რჩევა,** საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში გამრავალფეროვნდეს სასწვლო რესურსები, რომლებიც სახელმძღვანელოების გარდა მოიცავს დამატებით ლიტერატურას, ციფრულ რესურსებს და ა.შ **2.2.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე ორივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა) კურიკულუმები შემუშავებულია გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით. აგრეთვე კათედრა მრავლად იყენებს სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს (ლინკები მოცემულია კურიკულუმებში) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ კათედრა სამივე საფეხურზე, გარდა ძირითადი რესურსებისა, აქტიურად იყენებს დამატებით სასწავლო რესურსებს (მაგ.

	რეპროდუქციები, აუდიო და ვიზუალი მასალა), რაც მოსწავლეთა შედეგებზე და მათ ნამუშევრებზე აისახება.
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი,აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. **რჩევა:** ყველა საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ. ასევე სასურველია რესურსების მრავალფეროვნება მორგებული თითოეულ საკითხსა და თემაზე
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმში, სამივე საფეხურზე, ძირითადი რესურსი არის სახელმძღვანელო, ასევე მითითებულია სხვადასხვა ონლაინ პლატფორმები. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ math.ge-ს რესურსებს, გეოგებრას, ასევე თავად ქმნიან სხვადასხვა რესურსებს . **ინდიკატორის დაკმაყოფილებულია**
სპორტი	შემუშავებულ კურიკულუმში გაწერილი სპორტული სახეობების და მათ შესაბამისად დაგეგმილი სპორტული აქტივობებისთვის გამოყენებულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელიც მოსწავლეთა სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობას, მოტივაციის ამაღლებას და სწავლა სწავლების ეფექტიანობას უზრუნველყოფს.

	რჩევა: სასურველია, კურიკულუმების შედგენისას ძირითად რესურსად გამოყენებული იქნას მეტი გრიფირებული სახელმძღვანელოები ხაბერელის, მეტრეველის, კიკალიშვილის ავტორობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	**საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები სრულად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც შესაძლებელი გახდა არსებული ინფრასტრუქტურის და ტექნიკური უზრუნველყოფის წყალობით.** **· კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით;** **· ხელმისაწვდომია ინტერნეტ კავშირი, რაც აუცილებელია ონლაინ პლატფორმებთან და სასწავლო ვიდეოებთან წვდომისთვის;** **· ლაბორატორია უზრუნველყოფილია პროექტორით, რაც ამარტივებს მასალის პრეზენტაციას და კოლაბორაციულ მუშაობას.** **კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები მოიცავს:** თითოეულ კლასში (II-VI) ძირითად რესურსად მითითებულია ისეთი პლატფორმები, როგორიცაა **Scratch**, **Code.org** და **Minecraft**, რაც პირდაპირ კავშირშია შემოქმედებით დავალებების შესრულებასთან. მასწავლებელი იყენებს როგორც მზა საგანმანათლებლო პორტალებს (მაგ. **school.emis.ge**), ისე საკუთარ შექმნილ რესურსებს (მაგ. მასწავლებლის მიერ მომზადებული ნიმუშები Scratch-ში). დამხმარე რესურსებად გამოყენებულია ვიდეო გაკვეთილები, ელექტრონული თამაშები **(Learningapps.org)** და პრეზენტაციები, რაც სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეს მასალის უკეთ ათვისებაში ეხმარება.

	კურიკულუმში რესურსები მკაფიოდ არის მიბმული კონკრეტულ საკითხებზე (მაგ. პირობითი ნიშნებისთვის — Paint 3D, ინტერნეტ-უსაფრთხოებისთვის — სპეციალური საინფორმაციო რგოლები). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრას სხდომის ოქმში (09.09.2025) საგანმანათლებლო N3 საკითხად გაწრილია „საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა/განხილვა და დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია“. ოქმში პუნქტობრივად წერია ის, თუ რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა სასწავლო რესურსის შექმნის დროს. კერძოდ, ვკითხულობთ: ✓ „განსაზღვროს რამდენად უწყობს ხელს რესურსი სწავლის უნარის განვითარებას და ინტეგრირებას, მასალის სიღრმისეულ წვდომას; ✓ დადგინოს ლოგიკური კავშირი გაკვეთილის სასწავლო მიზნებს, აქტივობებს, საგანმანათლებლო რესურსებსა და შეფასების კრიტერიუმებს შორის;

	✓ რესურსი უნდა იყოს მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფისათვის შესაბამისი (გასაგები), სანდო წყაროებიდან მოპოვებული, გარკვეულ სქემას მორგებული და თანმიმდევრული, მოქნილი და ადვილად გასაგები ინსტრუქციით აღჭურვილი.“ მოცემული ჩანაწერი არსებითი მიმართულებაა დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის. 2.2.2.2 **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	გასაუბრებიდან ირკვევა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებაში შემავალი საგნების პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს რესურსებს და მონაწილოებენ სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვაში. რესურსები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ მოწოდებულ უცხოური ენების კათერის ოქმში ერთერთი საკითხია „გრიფირებული სახელმძღვანელოების შერჩევა და სწავლებისას გამოსაყენებელი საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრა“, აგრეთვე ოქმს დანართის სახით აქვს დამატებითი რესურსების ჩამონათვალი. ინტერვიუს დროს დასმულ კითხვაზე თუ რა პრინციპებით და როგორ ადგენენ დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალს მასწავლებლებმა გასცეს პასუხი რომ სასწავლო წლის განმავლობაში ერთად იკრიბებიან და მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ადგენენ ამა თუ იმ დამხმარე რესურსის შესაბამისობას ესგ-ის საგნობრივ სტანდარტთან (თემა, მიზნები და ა.შ.) **რჩევა:** სასურველია, სკოლის ადმინისტრაციის სათანადო პირმა გამოიკვლიოს კათედრის მიერ სასწავლო წლის დასაწყისში შეადგილი დამატებითი დამხმარე რესურსების ვალიდობა / ან თავად კათედრამ დაადგინოს ამ რესურსების ვალიდობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლას კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი,თუმცა დოკუმენტაციაში ნათლად არ მოიძებნა ჩანაწერი, თუ როგორაა ეს რესურსი შერჩეული ,ან განხილულია თუ არა კათედრასა და პედაგოგიურ საბჭოზე. **რჩევა:** სასურვეველია, რესურსის შერჩევა ხდებოდეს დოკუმენტურად და მკაფიოდ ჩანდეს სკოლის მიერ შემუშავებული წესები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო რესურსის ვალიდურობას.
სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსების მიმოხილვა ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ასპექტია. სკოლამ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი დამხმარე რესურსების შესარჩევად, და შესაფასებლად, რათა უზრუნველყოს, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ მოსწავლეებისა და საგნობრივი სასწავლო გეგმის საჭიროებებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოვლინდა, ამ საკითხების განხილვა პერმანენტულად ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს.
მათემატიკა	კურიკულუმში ჩაშენებული რესურსები შეთანხმებულია კათედრაზე და შერჩეულია ისეთი მიზნობრივი რესურსები, რომლებიც უკვე გამოიყენეს და ნახეს მათი ეფექტუობა, ისინი იყენებენ ისეთ დამხმარე რესურსებს, რომლებიც რეკომენდირებულია განათლების სამინისტროს მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლაში არსებული და გამოყენებული დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრასთან თანამშრომლობით. კურიკულუმში ეს პროცესი აღირიცხება, თუმცა პრაქტიკაში კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობა არ იკვეთება, რამაც

	შესაძლებელია რესურსების დეტალური შეფასება ვერ მოახდინოს და შეზღუდოს მათი ეფექტური გამოყენების შესაძლებლობა სწავლების პროცესში. **რჩევა: სასურველია, კათედრის წევრთა ჩართულობის გაზრდა რეგულარული შეხვედრებით, დავალებების კონკრეტული გადანაწილებით და ვალიდაციის პროცესის მონიტორინგით. ეს ხელს შეუწყობს დამხმარე სასწავლო რესურსების სრულფასოვან შეფასებას, ოპტიმალურ გამოყენებას სასწავლო პროცესში და მოსწავლეთა კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების უკეთ მიღწევას.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებილია**
ტექნოლოგიები	„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ საფუძველზე, დასტურდება, რომ სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. მეთოდოლოგიის მიხედვით, ნებისმიერი რესურსი (იქნება ეს მასწავლებლის მიერ შექმნილი თუ გარე წყაროდან მოძიებული) მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ეხმარება ის მოსწავლეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სამიზნე ცნებების გააზრებაში. რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრის დონეზე, სადაც მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ და აფასებენ სასწავლო მასალებს. თვითშეფასების კითხვარი მიუთითებს, რომ კურიკულუმის რევიზიისას განიხილება გამოყენებული რესურსების ეფექტურობაც. ვალიდაციის ერთ-ერთი ფორმაა მასწავლებლის რეფლექსია. თუ კონკრეტული დამხმარე რესურსი (მაგალითად, ვიდეო ან პლატფორმა) არ აღმოჩნდა ვალიდური და ეფექტური სწავლის შედეგის მისაღწევად, ის ექვემდებარება ჩანაცვლებას ან მოდიფიცირებას. კურიკულუმში მითითებული რესურსები (მაგ. school.emis.ge, Code.org) არის სახელმწიფო ან საერთაშორისო დონეზე აღიარებული პლატფორმები, რაც თავისთავად გულისხმობს მათ ვალიდაციას სასწავლო მიზნებისთვის.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ - იაკობ ტრიპოლსკის სახელობის დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის N1 საჯარო სკოლას აქვს ახლად გარემონტებული, თანამედროვე სტანდარების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ლაბორატორიაში არსებული რესურსები, მათ შორის რეაქტივები არის ძველი და ესაჭიროება განახლება, რაც გამოსწორებადია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ მიმდინარე სასწავლო წელს, მას შემდეგ რაც სასწავლო - საგანმანათლებლო პროცესი დაუბრუნდა აღნიშნული სკოლის შენობას, კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მოსწავლეებს თანაბრად შეუძლიათ გამოიყენონ საჭირო რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

უცხოური ენები	სკოლას და კერძოდ უცხოური ენების კათედრას გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი რომ უზრუნველყონ კურიკულუმებში გათვალისწინებული მიზნების მიღწევა. (ელ.ტექნიკა, ინტერნეტი და ა.შ.). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოგდენილი მტკიცებულებებიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში/მუსიკაში/პროექტულ სწავლებაში სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სასწავლო შედეგები და შემოქმედებითი პროცესები უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით. ასევე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის დაკმაყოფილებას მატერიალური რესურსით.
სახელმწიფო ენა	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. ინტერვიუდან ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს. (პრეზენტაციისთვის, საკლუბო მუშაობისას)
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები და ინტერვიუს დროს აღნიშნული რესურსები, რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში საშუალებას იძლევა მიაღწიონ ეროვნული სასავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სპორტი	სკოლაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა, სპორტული ინვენტარი, საკმარისია მოსწავლეების რაოდენობის გათვალისწინებით სწავლის შედეგების მისაღწევად **ინდიკატორი დაკმაყოფილებილია**
ტექნოლოგიები	• **სკოლა აღჭურვილია კომპიუტერული ლაბორატორიით, რაც საშუალებას იძლევა თითოეულ მოსწავლეს ჰქონდეს პირდაპირი წვდომა კომპიუტერულ რესურსზე; არსებობს ინტერნეტკავშირი, რაც აუცილებელია ელექტრონული პლატფორმების (emis.ge, code.org, Scratch) გამოყენებისთვის; საკლასო სივრცე უზრუნველყოფილია პროექტორით, რაც ხელს უწყობს ჯგუფურ განხილვებს, ვიზუალურ სწავლებასა და მრავალმხრივ პრეზენტაციებს.** • **მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა არ აღემატება რესურსის შესაძლებლობებს: საგაკვეთილო პროცესში თითოეულ მოსწავლეს ეძლევა ინდივიდუალური მუშაობის საშუალება, რაც ქმნის თანაბარ პირობებს რესურსზე წვდომისთვის;** • **მატერიალური რესურსი შეესაბამება კურიკულუმით დადგენილ მიზნებს: ისეთ დავალებებს, როგორიცაა Scratch-ის პროექტის აწყობა, პრეზენტაციის მომზადებაPowerPoint-სა და S, დოკუმენტების შექმნა Word-ში ან მონაცემების ანალიზი Excel-ში — ყველა საჭიროებს ტექნიკურ უზრუნველყოფას, რომელიც სკოლას გააჩნია.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი და გასაუბრებაზე ხსენებული დამატებითი რესურსები, კათედრას საშუალებას აძლევს მიაღწიოს ესგ-თი გათვალისწინებულ შედეგებს. **ინდიკატორი დადასტურებულია**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სსიპ - იაკობ ტრიპოლსკის სახელობის დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის №1 საჯარო სკოლა ძირითადად უზრუნველყოფილია კურიკულუმის ეფექტიანი განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსით, თუმცა გამოვლენილია გარკვეული შეუსაბამობა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მიმართებით. მასწავლებლებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული პედაგოგთა უმრავლესობა აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ფლობს შესაბამის კომპეტენციებს სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. ამასთანავე, იდენტიფიცირებულია კონკრეტული შემთხვევა, კერძოდ, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აღნიშნული გარემოება მიუთითებს საჭიროებაზე, რომ სკოლამ გააძლიეროს ადამიანური რესურსების მართვის პროცესები, მათ შორის, კადრების შერჩევისა და შესაბამისობის მონიტორინგის მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილი იყოს კურიკულუმის სრულყოფილი და ხარისხიანი განხორციელება ყველა საგნობრივ მიმართულებაში.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 05.04.2026 - 01.09.2026. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კადრის მიღება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პოზიციაზე, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (01.09.2026. - მდე). ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სასწავლო გეგმა;
- კათედრის ოქმები;
- სამივე საფეხურის კურიკულუმები;

- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები;
- შემოქმედებითი დავალების ბარათი;
- შემაჯამებელი სამუშაოს შედეგების ანალიზი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სპორტული ინვენტარის ფოტომასალა;
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ოქმები;
- კოლეგების ურთიერთდასწრების ფორმები (საზოგადოებრივი მეცნიერებები);
- შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუშები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი დეტალურად არის გაწერილი და მოიცავს რამდენიმე ეტაპს. დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული პროცესებზე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქცია-მოვალეობები. მონიტორინგი მიმართულია იმის დადგენისკენ, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად, ხოლო შეფასება განსაზღვრავს, რამდენად უზრუნველყოფს განხორციელებული აქტივობები სასურველი შედეგების მიღწევას. კურიკულუმის განვითარება მოიცავს შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და შეფასების, ასევე გადასინჯვისა და რევიზიის ფაზებს, სადაც მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს დანერგვის ეტაპის განუყოფელ ნაწილს. პროცესში ჩართული არიან სხვადასხვა დონეზე პასუხისმგებელი პირები: მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის აღწერასა და კოლეგებისთვის გაზიარებას, რაც ხელს უწყობს მონაცემთა ბაზის განახლებას, ასევე აქტიურად მონაწილეობს კათედრის სხდომებზე სასწავლო პროცესის ანალიზში და ითვალისწინებს რეკომენდაციებს; კათედრის თავმჯდომარე აგროვებს პედაგოგების მიერ მოწოდებულ მასალებს, ორგანიზებას უწევს კათედრის შეხვედრებს, სადაც ხდება არსებული გამოწვევების განხილვა და ინოვაციების დანერგვა, ამასთან, წარმოადგენს საკომუნიკაციო რგოლს დირექციასა და პედაგოგებს შორის; დირექტორის მოადგილე უზრუნველყოფს კათედრებიდან მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციას, ორგანიზებას უწევს სამუშაო შეხვედრებს სასწავლო პროცესის განხილვის მიზნით და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პრობლემების გადასაჭრელად, ასევე ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და კურიკულუმის რეგულარულ განახლებას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მონიტორინგის ფარგლებში იდენტიფიცირდება სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევები, ხოლო შეფასების ეტაპზე ხდება მათი გამომწვევი მიზეზების ანალიზი და შედეგებზე ზემოქმედების განსაზღვრა. მიღებული მონაცემების საფუძველზე სკოლა შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებსა და მოქმედების გეგმებს, რომლებიც მიმართულია როგორც სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისკენ, ასევე მოსწავლეთა შედეგების ამაღლებისკენ. პრობლემების გადაჭრის მექანიზმები მოიცავს სწავლების სტრატეგიების მოდიფიცირებას, დამატებითი რესურსების მობილიზებას, ინდივიდუალური მხარდაჭერის გაძლიერებას და პედაგოგთა პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვას. აღნიშნული პროცესები ხორციელდება კათედრების, ადმინისტრაციისა და მასწავლებლების კოორდინირებული თანამშრომლობით. ამგვარი პრაქტიკა უზრუნველყოფს, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები იყოს პრაქტიკულად გამოყენებადი, დროული და ეფექტიანი,

რაც ხელს უწყობს გამოვლენილი პრობლემების სისტემურ და შედეგზე ორიენტირებულ გადაჭრას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგი და შეფასება, როგორც კურიკულუმის განვითარების პროცესის ნაწილი, ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. ეს პროცესი მრავალ დონეზე ხორციელდება და მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის მუდმივ გაუმჯობესებას. მონიტორინგის პროცესი მასწავლებლებს აძლევს საშუალებას, გააანალიზონ სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები. კათედრის სხდომებზე ხდება პრობლემური საკითხების შესწავლა, ინოვაციების დანერგვა და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების მომზადება. დირექტორის მოადგილე უზრუნველყოფს სამუშაო შეხვედრების გამართვას, სადაც განიხილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხები და შემუშავდება რეკომენდაციები პრობლემების გადასაჭრელად. ასევე, დირექტორის მოადგილე ხელს უწყობს მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას. მონიტორინგის საშუალებით გროვდება მონაცემები მოსწავლეების მიღწევების შესახებ. ეს მონაცემები ეხმარება მასწავლებლებს და კათედრებს, გააანალიზონ და შეაფასონ სასწავლო პროცესი და იმსჯელონ, რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, რაც უზრუნველყოფს ობიექტურ, სრულყოფილ და სანდო შედეგებს. შეფასების პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი ტიპის მონაცემით, არამედ მოიცავს სხვადასხვა სახის მტკიცებულებებს, მათ შორის: მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ამსახველ ნამუშევრებს, ტესტებისა და დავალებების შედეგებს, პროექტებს, პორტფოლიოებს, დაკვირვების ჩანაწერებსა და პედაგოგთა პროფესიულ ანალიზს. დამატებით გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. მრავალფეროვანი წყაროების გამოყენება შესაძლებელს ხდის მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების კომპლექსურ შეფასებას, ასევე სასწავლო პროცესის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების სიზუსტეს, სამართლიანობასა და შედეგების ეფექტიან გამოყენებას სასწავლო პროცესის განვითარებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა როგორც მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს (ცოდნის დონე, უნარები, სწავლის ტემპი), ისე სასწავლო გარემოს, სოციალურ-კულტურულ ფაქტორებსა და საგნობრივ სპეციფიკას. ასევე გათვალისწინებულია სასწავლო მიზნები, სასწავლო სტანდარტები და კონკრეტული აქტივობების მიზნობრიობა. მრავალკონტექსტური მიდგომა იძლევა შესაძლებლობას, შეფასება არ იყოს ერთგანზომილებიანი, არამედ ასახავდეს მოსწავლის განვითარების დინამიკას სხვადასხვა პირობებში. ეს ხელს უწყობს უფრო ზუსტ ანალიზს, ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებას და სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიან გაუმჯობესებას. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს, რომ შეფასება იყოს მოქნილი, ობიექტური და მოსწავლეზე ორიენტირებული, რაც მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

მონაცემთა შეგროვება ხორციელდება სხვადასხვა ინსტრუმენტისა და ფორმატის გამოყენებით, მათ შორის: წერითი და ზეპირი დავალებები, ტესტირება, პროექტული და კვლევითი საქმიანობა, პორტფოლიოები, დაკვირვება, თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება. აღნიშნული მეთოდები იძლევა შესაძლებლობას, შეფასდეს მოსწავლეთა ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები სხვადასხვა აქტივობასა და გარემოში. მრავალფეროვანი მიდგომების გამოყენება უზრუნველყოფს, რომ შეფასება არ იყოს ერთჯერადი ან ერთმხრივი, არამედ ასახავდეს მოსწავლის განვითარების პროცესს დინამიკაში. ამასთანავე,

მიღებული მონაცემები გამოიყენება როგორც ინდივიდუალური პროგრესის გასაანალიზებლად, ასევე სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასებისას ყურადღება ექცევა არა მხოლოდ მოსწავლეთა საბოლოო აკადემიურ შედეგებს, არამედ მათი განვითარების დინამიკას, ინდივიდუალურ პროგრესს, წინარე ცოდნასა და უნარების ფორმირების პროცესს. პარალელურად, გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტები, სასწავლო მიზნების შესაბამისობა, დავალებების შინაარსობრივი და კოგნიტური სირთულე, ასევე შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა და თანმიმდევრულობა.
მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კონტექსტუალურ ფაქტორებსაც, მათ შორის სასწავლო გარემოს, მოსწავლის სოციალურ და ემოციურ მდგომარეობას, ჩართულობის ხარისხსა და სასწავლო პროცესში გამოვლენილ აქტივობას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ შეფასება არ იყოს ერთჯერადი და ფორმალური აქტივობა, არამედ წარმოადგენდეს უწყვეტ, მრავალგანზომილებიან პროცესს, რომელიც ასახავს მოსწავლის სრულყოფილ სურათს.
მრავალფაქტორული ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგები გამოიყენება როგორც ინდივიდუალური სასწავლო გზის დაგეგმვისთვის, ისე სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისა და ადაპტირებისთვის. შედეგად, შეფასება იქცევა არა მხოლოდ შედეგის ფიქსირების ინსტრუმენტად, არამედ განვითარების ხელშემწყობ ეფექტიან მექანიზმად, რომელიც ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლაში მიმდინარეობს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი. დოკუმენტში აღწერილია სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რაც მოიცავს: სასკოლო კურიკულუმის არსსა და ფუნქციებს; სისტემური დონის რეგულაციებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმი; პროცესებზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებსა და პიროვნებებს, როგორებიც არიან კათედრის თავმჯდომარეები და დირექტორის მოადგილეები; პროცესში ჩართულ მხარეებს, როგორებიც არიან მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და დირექცია; კურიკულუმის განვითარების ძირითად ეტაპებს: შემუშავებას, დანერგვას, მონიტორინგსა და შეფასებას, გადასინჯვასა და რევიზიას; კავშირს სხვა დამხმარე და მმართველობით პროცესებთან. კურიკულუმის განვითარების პროცესი უწყვეტია და სკოლა ვალდებულია, ყოველწლიურად

განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ და აანალიზებენ მონაცემებს დანერგვის პროცესის შესახებ, რის საფუძველზეც სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის რევიზიისას ხდება დაგროვილი პრაქტიკის, განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობისა და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მიღებულ მონაცემებს, რომლებიც ასახავს როგორც ძლიერ მხარეებს, ისე გასაუმჯობესებელ მიმართულებებს. აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენება სასწავლო მიზნების, შინაარსის, მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების დასახვეწად. გადამუშავების პროცესი ხორციელდება კოლეგიალური ჩართულობით, სადაც მონაწილეობენ ადმინისტრაცია, პედაგოგები და შესაბამისი სამუშაო ჯგუფები. განხილვისას ხდება რეკომენდაციების შემუშავება და მათი ინტეგრირება კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას როგორც ეროვნულ სტანდარტებთან, ისე სასკოლო საჭიროებებთან. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი: 16.04.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: